

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი *2424


ირანში ხმაის ხელახლა გადასათვლელად ემზადებიან

A7



შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ჩინეთი ლიდერობს

A8



Carnegie Hall-ის ახალი ფავორიტი

A9



24 საათი "24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



უზიპრობის საბჭო, სადაც ოკუპანტს ვებოს უფლება აქვს

გიორგი ასანიშვილი

სამშაბათს რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს. მოსკოვის ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში ფუნქციონირებას წყვეტს. კენჭისყრის შედეგად, ხმები შედეგად გადანაწილდა: 10 მომხრე, 1 წინააღმდეგი, 4-მა კი თავი შეიკავა. რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს სამმა მუდმივმოქმედმა წევრმა - აშშ-მ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა; კიდევ ერთმა მუდმივმოქმედმა წევრმა ჩინეთმა თავი შეიკავა. ასევე თავი შეიკავა უშიშროების საბჭოს დროებითმა წევრებმა - ლიბიამ, ვიეტნამმა და უგანდამ. რუსეთის ვეტოს წყალობით, გუშინ, თბილისის დროით 8 საათზე, გაერო-ს მისიის მანდატის ვადა ამოიწურა.

ბაზრძილაბა A2 გვირდვა



AFP © 2009

რუსეთის ვებოს ხემა

დავიდ ჯ. სმიტი სპეციალურად 24 საათისთვის

ორშაბათს რუსეთმა საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობა დააბოკა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრმა სახელმწიფოთა დელეგაციებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა მისიის მანდატის ორი კვირით გახანგრძლივებაზე, რაც ნარმატების შემთხვევაში, თავის მხრივ, იქნებოდა დრო შემდგომი მოლაპარაკებებისთვის. შუალამისას, როცა უკვე გადაწყვეტილების მიღებაზე მიდგა ჯერი, უშიშროების 10 წევრმა სახელმწიფოთა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას დაუჭირა მხარი, ოთხმა კი თავი შეიკავა, მხოლოდ ერთი აღმართული ხელი გახდა რუსეთის ვეტოს მანიშნებელი. შესაბამისად, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განკარგულება მისცა "თავის სპეციალურ ნარმომადგენელს, მიეღო ყველა ზომა 16 ივნისიდან ოპერაციების შეწყვეტისთვის." გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის 129 შეუიარაღებელი ჯარისკაცი და პოლიციის 16 ოფიცერი მალე სამშობლოსკენ აიღებს გეზს. ამ დროს კი რუსეთი უხეშად არღვევს გასული წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის დახმარებით მიღებულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას. რუსეთის ოკუპირებული აქვს ქართუ-

ლი ტერიტორიები - აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ახალგორის რაიონი და სოფელი პერევი, სადაც არ უშვებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, რომლის დაშვებასაც სწორედ ექვსპუნქტიანი შეთანხმება ითვალისწინებს. მოსკოვის მცისიერი მიზანი, დაესრულებინა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ყოფნა საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული მსოფლიოსთვის თვალეში ნაცრის შეყრას წარმოადგენს. რამდენიმე კვირის წინ რუსეთმა აიძულა ეუთო-ს მისია, დაეტოვებინა სამხრეთ ოსეთი, სადაც ორგანიზაცია სადამკვირვებლო მანდატით იმყოფებოდა, შეასუსტა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედება და პეტ-ტრიკი უკვე გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის განდევნით შეასრულა. ახლა უკვე რუსეთსაც და მის ხელდასმულ მმართველებსაც თავისუფლად შეუძლიათ გაუკონტროლებლად მაროდორობა, თავიანთი დანაშაულებრივი სინდიკატების შექმნა, ადგილზე დარჩენილი რეზიდენტების დატერორება და საკუთრების წართმევა. ამასთანავე, ადგილობრივთა განწყობის მიუხედავად, მოსკოვი გააგრძელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიას იმ პრეტენზიით, თითქოს მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს.

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

შეთავაზება და კონტაქტი

ნათია მსხილაძე

საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა 15 ივნისს განაცხადა, რომ იღებს პრეზიდენტ სააკაშვილის შეთავაზებას და მზად არის, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა დაიკავოს.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, მას სურს ამ "გამონვევის" მიღება, რათა სამინისტროს მუშაობა შეინიშნოს და გააკონტროლოს და ოპოზიციის აქტივისტებსა და მხარდამჭერებზე თავდასხმების ათობით შემთხვევა გამოიძიოს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაუყოვნებლივ უპასუხა ზურაბიშვილის განცხადებას და აღნიშნა, რომ მისი ამ პოსტზე დაინიშნის წინააღმდეგი არ არის. მოგვიანებით ზურაბიშვილმა ასევე განაცხადა, რომ ამ თანამდებობის დაკავება არ ნიშნავს მისი მხრიდან პროტესტის ან პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის შეწყვეტას. "როგორც ჩანს, მას არასწორად ესმის შეთავაზების შინაარსი, - ასე შეაფასა დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა სალომე ზურაბიშვილის განცხადება, - ამა თუ იმ სამინისტროში თანამდებობის დაკავება ნიშნავს პასუხისმგებლობას ამ სამინისტროს გამართულ მუშაობაზე.

თუ ქალბატონ სალომეს წარმოუდგენია, რომ ის დღისით სამინისტროს შენობაში იქნება, ხოლო სალომე მიტინგზე გამარჯვებულს ხმით განაცხადებს, რომ მთელი სამინისტრო მიტინგის გვერდით არის და ამ შეთავაზებას მეტი დაძაბულობისთვის გამოიყენებს, ამის შანსს, ბუნებრივია, არავის მიეცემთ. დეპუტატმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციამ პრეზიდენტის შემოთავაზება "კონტექსტიდან ამოგლეჯილად" არ უნდა განიხილოს. ჩვენი შეთავაზება ძალაში დარჩება, მაგრამ დანიშნა იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ მომავალ დღეებში ოპოზიციის რადიკალურ ფლანგთან გარკვეული თანამშრომლობის რეჟიმს ჩამოვყალიბებთ. რა თქმა უნდა, ეს ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ეს აგრესიული ტიპის აქციები, ეს კონფრონტაციული რიტორიკა და საზოგადოების გახლეჩის ტაქტიკა შენარჩუნდება, - აღნიშნა გაბაშვილმა. დავით დარჩიაშვილს სალომე ზურაბიშვილი, მისი "შინაგანი ტემპერამენტიდან" გამომდინარე, ამ თანამდებობისთვის კომპეტენტურად არ მიაჩნია, თუმცა მის რეალურ მზაობას, დაინიშნოს ამ თანამდებობაზე, მისაღებს უნოდებს.

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

საქართველოს
პრეზიდენტის

ბანკარბულება

„ 411 2009 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამეურვეო საბჭოს წევრობის
(მეურვეის) კანდიდატთა შესარჩევი
ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად 2009 წლის 17 ივნისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მეუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვეის) სამი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვეის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. მეურვეობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. № 1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ე. შარაშიძე) 2009 წლის 17 ივნისამდე შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

მედვედევმა სეპარატისტებთან
სამხედრო სფეროში ხელშეკრულების
გაფორმების განკარგულება გასცა

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისა და მათთან სამხედრო სფეროში ხელშეკრულების გაფორმების განკარგულება გასცა. მედვედევს შესაბამისი ბრძანებულებები კრემლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული.

რუსეთის პრეზიდენტს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სამხედრო სფეროში ხელშეკრულების გაფორმების წინადადებები რუსეთის მთავრობამ წარუდგინა.

"რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების დახმარებით, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებების გამართვა დაავალა. მედვედევს განკარგულებით, რუსეთის ამ ორ უწყებას ნება ეძლევა, შეთანხმების პროექტში ისეთი ცვლილებები შეიტანოს, რომლებიც შეთანხმების მიზნებს არსებითად არ ცვლის და პრინციპული ხასიათი არ აქვთ", - ნათქვამია მედვედევს განკარგულებაში.

რუსეთსა და საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონს შორის ადრე გაფორმებული ხელშეკრულებებით, რუსეთს საქართველოს ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობის უფლება ეძლევა.

ჯი-ეიზ-ენი

უპიპრობის საბჭო, სადაც
ოკუპანტს ვეტოს უფლება

პირველი გვარდიდან

დასავლური
დიპლომატია რუსეთს
აკრიტიკებს

საქართველოს "მეგობარი ქვეყნები" გაერო-ს მისიის მანდატის შეჩერების გამო სინაზულს გამოთქვამენ და რუსეთის ქმედებას აკრიტიკებენ.

ჩვენ ვცდილობთ კარგად დაბალანსებული რეზოლუციის პროექტის გატანას, მაგრამ რუსეთმა ამ პროექტს ვეტო დაადო, - აღნიშნავს გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენელი როზმარი დი კარლო, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში გაერო-ს მისია უმნიშვნელოვანესია.

მისივე თქმით, შეერთებული შტატები განაგრძობს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის მხარდაჭერას, თუმცა გაერო-ს მისიის შეწყვეტით კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობა მანაც ძალიან ზარალდება.

ამასთან, აშშ-ს წარმომადგენელი კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

გაერო-ში საფრანგეთის ელჩი ჟან მორის რებერი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ოფიციალური პარიზი შეშფოთებულია საქართველოში გაერო-ს მისიის შეწყვეტით.

რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში გაერო-ს 15-წლიან მისიას, რაც უაღრესად აღმაშფოთებელი ფაქტია. საფრანგეთი განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში, - აღნიშნავს ფრანგი დიპლომატი.

დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ წრეებშიც მიანიჭიათ, რომ რუსეთი ხელს უშლის კავკასიაში მშვიდობის დამყარებას.

ჩვენ და გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხვა წევრები დიდხანს ვმუშაობდით რეზოლუციის პროექტზე, რომელიც ყველა მხარის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული. თუმცა, რუსეთმა ვეტოს უფლება გამოიყენა, რითიც მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა," - აცხადებს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი.

იგი ვარაუდობს, რომ გაერო-ს მისიის გაუქმება კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობაზე ცუდად აისახება.

რუსეთმა უნდა იმოქმედოს საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიხედვით. მან უნდა გამოიყვანოს თავისი საჯარისო შენაერთები კონფ-

ლიქტის ზონიდან, ყენევის მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს ჰუმანიტარული მისიების მოქმედებას იმ რეგიონში, რომელიც დე ფაქტო რუსული კონტროლის ქვეშ იმყოფება," - მოითხოვს ინგლისელი დიპლომატი.

გაერო-ს მისიის შეჩერებაზე თავისი პოზიცია გამოხატა გერმანიამ. ელჩი პატრიცია ფლორი აცხადებს, რომ გაერო-ში რუსეთის ქმედების გამო იმედგაცრუებულია.

გერმანია კიდევ ერთხელ ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, - ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

ეს ნაბიჯი არის არა ცალკეული ქმედება, არამედ იმ დიდი სტრატეგიის ნაწილი, რომელიც რუსეთმა გასულ ზაფხულს, ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამდე დაიწყო. რუსეთს საქართველოში საერთაშორისო მისიებს ბლოკავს," - აღნიშნავს გაერო-ში საქართველოს ელჩი ალექსანდრე ლომაია და საერთაშორისო თანამეგობრობას შეახსენებს, რომ ერთი თვის წინ სწორედ რუსეთის ინიციატივით შეწყდა საქართველოში ეუთო-ს მისიის მოქმედება.

მისივე განცხადებით, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება გაერო-ს მისიის შეწყვეტის შემდეგ უფრო რთული იქნება.

გამოხმაურება
თბილისში

მოსკოვის ქმედება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეაფასა.

საკაშვილის განცხადებით, რუსეთის შანტაჟის შედეგად, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა თავისი პოზიციები ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დათმო და არსებობდა საფრთხე, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის საკითხში დათმობაზე წასულიყო. თუმცა, როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველომ თანამეგობრობის მხრიდან აბსოლუტურად კონსოლიდირებული მხარდაჭერა მიიღო.

რუსეთი იძულებული გახდა, ვეტო გამოეყენებინა და შედეგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ყოფნას ყოველგვარი იურიდიული საფუძველი აქვს გამოცხადებული, - განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, რუსეთი მზად იყო ნებისმიერ გარიგებაზე წასასვლელად იმის სანაცვლოდ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს საქართველო დაეთმო.

არ არსებობს არანაირი სეპარატისტული რეჟიმი და დე ფაქტო მთავრობა, არსებობს მხოლოდ რუსეთის საოკუპაციო კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე, - გასული წლის მოვლენებს თავის სახელს არქმევს საქართველოს პრეზიდენტი.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი კი "სამწუხაროს" უწოდებს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობის შეწყვეტას, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ქართულმა დიპლომატიამ არ დაუშვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თუნდაც მცირე ეროზია.

"დღეს ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი. კერძოდ, ჩვენ გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები. საქართველო აქვს კონფლიქტი რუსეთთან. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე მთლიანი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება," - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

მისივე აზრით, კონფლიქტის რეგიონში მყოფი მოსახლეობისთვის გაერო-ს მისია კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებას მოახერხებდა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში რჩება ევროკავშირის მისია, რომელიც ადრე თუ გვიან, კონფლიქტურ რეგიონში შესვლას მოახერხებს.

სამშაბათს ნიუ-იორკში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებაც ეხმაურება.

გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ვეტოს გამოყენება ნიშნავს მარცხს დიპლომატიაში.

რუსეთი თავის მიერ დაგეგმილ იურიდიულ ხაფანგში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, ვეტოს უფლება გამოეყენებინა. ვეტო კი, როგორც ბირთვული იარაღი, მაშინაც არ უნდა გამოიყენო, როცა გაქვს. ეს არის ქვეყნის იზოლაციისა და მისი პოზიციის დაუცველობის პირველი ნიშანი, - აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში რჩება ევროკავშირის მისია და საერთაშორისო თანამეგობრობის ბევრი წევრის პოზიციით, ეს მისია უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს," - აცხადებს გრიგოლ ვაშაძე.

მისივე თქმით, საქართველოს დიპლომატია არასდროს მიიღებს მონაწილეობას ისეთ გადაწყვეტილებაში, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ მოსკოვში სერიოზული დასკვნების გაკეთება მოუწევთ, რადგან თავისი პოლიტიკით რუსეთი მთელ ცივილიზებულ სამყაროს უპირისპირდება.

რუსეთი უნდა მიხვდეს,

რომ საერთაშორისო სამართლებრივი იზოლაცია, შეიძლება, პოლიტიკურ იზოლაციად გადაიქცეს," - აფრთხილებს ოფიციალურ მოსკოვს გრიგოლ ვაშაძე.

პოლიტოლოგ ზურაბ აბაშიძის აზრით, ძალიან ცუდია, რომ რუსეთმა საქართველოში გაერო-ს მისიის საქმიანობა დაბლოკა, მაგრამ უარესი იქნებოდა, საერთაშორისო თანამეგობრობას მოსკოვისთვის აფხაზეთის საქართველოდან იურიდიულად გამოყოფის საკითხში დაეჭირა მხარა.

ქართულ მხარეს არჩევანი ცუდია და უარეს შორის ჰქონდა, ამიტომ კარგია, რომ რუსეთის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტს უშიშროების საბჭოს არც ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა, - დასძენს ზურაბ აბაშიძე.

პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძის შეფასებით, გაერო-ს მისიის დაბლოკვით რუსეთმა თავისი გეოპოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიული მონაპოვრის დაფიქსირება მოახდინა.

რუსეთმა ყველას დაუფარავად დაანახა, რომ მისთვის მთავარია გასული წლის აგვისტოში საქართველოში მოპოვებულ პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცება, - აცხადებს გეგეშიძე.

საერთაშორისო სამართლის საკითხების ექსპერტი ლევან ალექსიძე კი გაერო-ს მისიის შეწყვეტაში ტრაგედიას ვერ ხედავს და ფიქრობს, რომ რუსეთის მიერ ვეტოს გამოყენება საერთაშორისო ასპარეზზე მის იზოლაციას შეუწყობს ხელს.

გაერო-ს მისიის შეწყვეტაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, ვინაიდან ამ მისიამ 15 წლის განმავლობაში ვერ შეძლო საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა, დევნილთა უპირობო დაბრუნება და რეგიონში დემოკრატიული სურათის აღდგენა, როგორც ამას გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ავალდებულებდა. მეტიც, როცა ევროკავშირმა, ნატო-მ, ევროსაბჭომ და ევროკომისიამ დაგემეს საქართველოში რუსეთის აგრესია და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით რუსეთი სამარცხვინო ზოძზე გააკრეს, გაერო ბუჩქებში დაიმაღლა და აგვისტოს მოვლენების შესახებ არც უმსჯელია, - აღნიშნავს ალექსიძე.

მისივე შეფასებით, აფხაზეთში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის სიმბოლური ყოფნა საქართველოს წინააღმდეგაც კი მუშაობდა, ვინაიდან მისია, პრაქტიკულად, არაფრის გამკეთებელი არ იყო.

ალექსიძე დარწმუნებულია, რომ რუსეთის მიერ გაერო-ს მისიის დაბლოკვის შემდეგ მოსკოვსა და ნატო-ს წევრ ქვეყნებს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდება.

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში უკან "გვკ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსაშვილი (მხარველი რედაქტორი). რედაქტორები: შალვა ჯაფარიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟიუ), ანა ფარუშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ჯიქარიანი, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

შეთავაზება და კონტაქსტი

პირველი გვერდი

უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი კი სალომე ზურაბიშვილის განცხადების სერიოზულობაში დარწმუნებული არ არის, თუმცა აღნიშნავს, რომ მისაღები იქნება, თუ სალომე ზურაბიშვილს ამ თანამდებობაზე მართლაც რეალურად მუშაობა სურს და არა "არევა". მისივე თქმით, მისასალმებელი იქნება, თუ ზურაბიშ-

ვილი იგივე მუქარით არ მივა შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილის პოსტზე, რა მუქარითაც აღნიშნული განცხადება გააკეთა.

უმრავლესობის წარმომადგენელთა განცხადებების მიუხედავად, თავად სალომე ზურაბიშვილმა გუშინდელ მიტინგზე განაცხადა, რომ თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ კონკრეტულ წინადადებას პრეზიდენტისა

და შინაგან საქმეთა მინისტრისგან ელის.

სალომე ზურაბიშვილის გადანყვეტილებას ოპოზიციის სხვა ლიდერებიც უჭერენ მხარს. არასაპარლამენტო ოპოზიციაში განმარტავენ, რომ არსებული ხელისუფლების მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილი საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებს.

რუსეთის ვიზოს შედეგ



პირველი გვერდი

"გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას აზრი არ აქვს, რადგან იგი ძველ რეალობაზე იყო მორგებული," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მართლაც, ოფიციალურმა მოსკოვმა ტანკებით ნამდვილად შექმნა ახალი რეალობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. შესაბამისად, მათი დამოუკიდებლობის ცნობა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე დიპლომატიური კუთხით. მართლაც, თუ მათ დიპლომატებს ყურთასმენა აქვთ, მოსკოვს არ უნდა რჩებოდეს იმის ილუზია, რომ დასავლური დედაქალაქები სოხუმისა და ცხინვალის ცნობაზე ფიქრობენ. რუსეთის სხვა მიზანია საერთაშორისო მხარდაჭერის ეტაპობრივად მოპოვება - არა იმდენად დათანხმება, არამედ დათმობა იმ ახალ რეალობებზე, რომელიც მან ძალის მეშვეობით შექმნა.

ეს კარგად ხსნის მეთერთმეტე საათის დიპლომატიას ნიუ-იორკში. მოსკოვი იმედოვნებდა, რომ უშიშროების საბჭოს სხვა წევრებს ნაკლებად სურდათ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება სპეციალურ არამოქმედებდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნები მიზნად ისახავდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას-ტურებას და აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოს არსებობის უარყოფას.

გამბიტი არ გამოვიდა. ახლა უკვე რუსეთი დაუბრუნდება საკუთარი სიმართლის დამტკიცების რიტორიკას - "ცხადია, რუსული მხარე ასეთ რამეს არ დათანხმდება. უშიშროების საბჭოში ყველას კარგად ესმის აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე უსაფრთხოების ახალი რეჟიმის შექმნის აუცილებლობა," - ნათქვამია ჟურნალისტმა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

"ჩვენს პარტნიორებს ნამალს საწარმოები ურჩევნიათ," - განაცხადა გაერო-ში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა.

მოსკოვი თავისი წამლით და ამავდროულად თითზე ჩამოსათვლელი ევროპული ქვეყნების დარწმუნებით იმაში, რომ დროა, რუსეთი ჩართონ ევროპის ახალი უსაფრთხოების სქემის განხილვაში, მიზნად ისახავს ევროპაში მოქმედი ყველა უსაფრთხოების ორგანიზაციისთვის ძირის გამოთხრას. ცხადია, მოსკოვისთვის მისაღები ნებისმიერი ახალი ორგანიზაცია მის ხელში ადვილად სამართავ მქანშიზმად იქცევა და თანდათან ნატო-საეც ძირს გამოუთხრის.

მაგრამ, როგორც კი ჩურკინმა ორშაბათს სიტყვა "ნეტ" წარმოთქვა, მაშინვე ნათელი გახდა, რომ მოსკოვის გროტესკულმა გრიმასამ დასავლეთი გაერო-თიანა. საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა - უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა - მხარი დაუჭირეს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას იმ რეზოლუციის ჩარჩოებში, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას გამოხატავს. მათ მხარი აუბეს ასევე უშიშროების არამუდმივმა წევრმა ქვეყნებმა - ავსტრიამ, ბურკინა ფასო, კოსტა რიკამ, ხორვატამ, იაპონიამ, მექსიკამ და თურქეთმა. გერმანიამ, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, მისიის მანდატის გაგრძელებას მხარი დაუჭირა, როგორც საქართველოს "მეგობართა ჯგუფის" ხელმძღვანელმა.

"ეს ის საკითხია, რომელიც ჩვენ კომპრომისზე ვერ წავალთ და ეს არის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი," - განაცხადა გერმანიის ელჩმა თომას მატუსეკმა.

შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოადგილე როზმარი დი კარლოს თქმით, "მანდატის გაგრძელება გაერო-ს შესაძლებლობას მისცემდა, გაეგრძელებინა სადამკვირვებლო როლი, რომელიც უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ადგილზე ჰუმანიტარული მიზნების შესრულებისკენ არის მიმართული. იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა იმ პირობების ჩამოყალიბებაში, როცა შესაძლებელი გახდებოდა დევნილების დაბრუნება."

"რუსეთმა ზურგი აქცია ძველ რეზოლუციებს. ერთ-ერთი მათგანი თებერვალშია (2008 წლის - რედ.) მიღებული, რომელიც რუსეთმა დაადასტურა, რომ მხარს დაუჭირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის," - განაცხადა ლონდონიდან დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა.

"ჩვენ არ შეგვიძლია და არც წავალთ კომპრომისზე, როცა საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას," - დაამატა ასევე საფრანგეთის წარმომადგენელმა გაერო-ში ჟან-მორის რიპერმა.

დასავლეთს ერთიანი პრინციპები აქვს. საფრანგეთმა ამჯერად მომენტით უნდა ისარგებლოს. ოფიციალურმა პარიზმა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერით, რომელთაც ამერიკა უმაგრებს ზურგს, რუსეთს სარკოზის მიერ შემუშავებული ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება უნდა მოსთხოვოს. კერძოდ, დასავლეთმა მკაცრად უნდა მოითხოვოს, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სადამკვირვებლო მანდატი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ შეასრულოს. ეს ყველასთვის ძალიან კარგი ნაშალი იქნებოდა.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).

კავკასიამ და მაისტრომ მაუწყებლობა აღადგინოს

დათო გაიხონია

პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტიდან 24 საათში, ტელეკომპანიებმა კავკასიამ და მაესტრომ პროტესტი შეწყვიტეს და მაუწყებლობა აღადგინეს.

მისი იდეა ითვალისწინებს ყველა თავისუფალი მედიასაშუალებების გაერთიანებას, მასში ორგანიზაციულად შევლენ ინტერნეტგამოცემები, საინფორმაციო სააგენტოები, გაზეთები, ჟურნალები, რადიოები და ტელევიზიები. მან იმედი გამოთქვა, რომ ერთობაში ასამდე ორგანიზაცია განვირგნადება. ამგვარი გაერთიანების შექმნა კონკრეტული გადანყვეტილების მისაღებად არის გამიზნული. ჩვენ შეგვიძლია და შეგვწევს ძალა, რომ თუნდაც მიმდინარე დღეებში ყველა მედიასაშუალება გაიფიცოს. ამ ნაბიჯით ისეთი საინფორმაციო ვაკუუმი შეიქმნება, რომ ინფორმაციის გასაგებად მთელი საქართველო ქუჩაში გამოვა, - მიმართა ტელეკომპანია "მაესტროს" გენერალურმა პროდიუსერმა შინაგან საქმეთა მინისტრს. თუმცა, პირველ ეტაპზე მაშუკა ლლონტი თავს იკავებს საქართველოში შექმნილი ვითარების კიდევ უფრო დაძაბვისაგან. ამიტომ მან შინაგან საქმეთა მინისტრს ერთგვარი შეთანხმება შესთავაზა. ბატონო ვანო, ჩვენ არ გავიფიცებთ, მაგრამ, თუკი რომელიმე მიყრუებულ სოფელშიც კი ჟურნალისტს, რომელი მედიასაშუალებების თანამშრომელიც არ უნდა იყოს ის, ხელისუფლების წარმომადგენელი დაესხა თავს, დაემუქრა ან პროფესიული საქმიანობის შესრულებაში შეუშალა ხელი, ასეთ შემთხვევაში მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა გაიფიცოს ყველა მედიასაშუალება მანად, ვიდრე არ გადადგება ვანო მერაბიშვილი, - განაცხადა ლლონტმა.

გუშინ, პრესკონფერენციის გამართვამდე, "მაესტროს" გენერალური პროდიუსერი შეხვდა საფრანგეთის ელჩს საქართველოში ერიკ ფურნიეს და 15 ივნისს მომხდარი ინციდენტის შესახებ ესაუბრა. ფრანგმა დიპლომატმა ლლონტთან შეხვედრის შემდეგ 15 ივნისს პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტი შეაფასა. ნელინდნახევარია, საფრანგეთის საელჩო საქართველოში მედიამონიტორინგს ახორციელებს. გუშინდელი ინციდენტი სამწუხაროა, რადგან მათ არ მიეცათ პროფესიული საქმიანობის საშუალება. ჩვენი სურვილია, ჟურნალისტები იყვნენ დაცულნი. ეს არის მესიჯი, რომელიც ჟურნალისტებისთვის მიმდოდა მეცნობებინა, - აღნიშნა ერიკ ფურნიემ.

პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შესწავლა უკვე დაიწყო სახალხო დამცველის ოფისმა. გარდა ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლისა, სახალხო დამცველის განცხადებაში სხვა სამართალდარღვევის შესახებაც არის საუბარი. 15 მაისს ომბუდსმენის ოფისის რწმუნებული, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მონიტორინგის დროს, სასტიკად სცემეს და უკანონოდ დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეცვა სპეციალური ფორმა წარწერით - სახალხო დამცველი, - აღნიშნულია ომბუდსმენის ოფისის განცხადებაში.

ეუთო-ს დიპლომატებმა თბილისის ტვილიის დატოვება დაიწყეს

ეუთო-ს დიპლომატებმა თბილისის დატოვება დაიწყეს. მისიის ხელმძღვანელი ტერი ჰაკალა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ბოლო შეხვედრებს მართავს, ჟურნალისტებს კი ის ოფიციალურად უკვე დაემშვიდობა. კონანისის ქუჩაზე უკვე ჩამოსხნეს დროშები და ეუთო-ს მისიის აბრა.

საქართველო. ჩვენ 17 ნელინდნ ვიმყოფებოდით აქ და ვმუშაობდით სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით - უსაფრთხოების, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ გარემოს დაცვის მიმართულებებით. სამწუხაროდ, ჩვენი მისია შეწყდა. ეს ძალიან დრამატული გადანყვეტილებაა," - განაცხადა ჰაკალამ გამოსამშვიდობებელ ბრიფინგზე, რომელიც საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ გრიგოლ ვაშაქსთან

შეხვედრის შემდეგ გამართა. აღსანიშნავია, რომ ჰაკალა საქართველოს დატოვებამდე პარლამენტის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვედრა. ცნობისათვის - ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელებაზე რუსეთმა უარი 18 თებერვალს განაცხადა, თუმცა სამი თვე საქართველოდან გასვლის პროცედურას დასჭირდა. ჯი-ეიჩ-ენი

ორთვიანი შესვენების შემდეგ პარლამენტს შენობაში კომიტეტის სხდომა გაიმართა. ჩატარდა რეგიონული თვითმმართველობის კომიტეტის სხდომა.

ორთვიანი შესვენების შემდეგ პარლამენტს შენობაში კომიტეტის სხდომა გაიმართა. ჩატარდა რეგიონული თვითმმართველობის კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა განიხილა 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შე-

ტანის პროექტი და მხარი დაუჭირა. ბიუჯეტი 312 მილიონ 204 ათასი ლარით იზრდება და ეს თანხა, ძირითადად, სოციალურ საკითხებზე გადანაწილდება. რაც შეეხება სხვა კომიტეტების სხდომებს, ჯერჯერობით არ და-

ზუსტებულა, რომელი კომიტეტის სხდომა როდის გაიმართება. გადანყვეტილია, რომ მიმდინარე კვირა საკომიტეტო კვირა იქნება. ჯი-ეიჩ-ენი

კრიზისის დაძლევის ნიშნები თუ მოსალოდნელი ეკონომიკური კრახი

მსოფლიოსა და საქართველოში ეკონომიკის მომავლის შეფასებაში ვერ თანხმდებიან

თამარ ხორბალაძე

მსოფლიო ეკონომიკური ვარდნის პერსპექტივების შესახებ თითქმის ისევე ვერ თანხმდებიან, როგორც საქართველოში ხელისუფლება და ექსპერტები - ქართული ეკონომიკის სამემოდგომო პროგნოზთან დაკავშირებით. პროგნოზის გარდა, დავას იწვევს ხელისუფლების მიერ კრიზისიდან გამოსვლისთვის არჩეული ტაქტიკაც - ერთი ნაწილი, შემდგომი "გარღვევების" თავიდან ასაცილებლად, საბიუჯეტო სახსრების სასწრაფო შემცირების მომხრეა, მეორე ნაწილი კი ეკონომიკის სტიმულირებას ბიზნესში სწორედ საბიუჯეტო სახსრების ჩადენებით გეგმავს.

რამდენიმე დღის წინ დიდი რვიანის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე, სადაც მსოფლიო კრიზისის შედეგები და პერსპექტივები განიხილებოდა, გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიისა და აშშ-ს ხედვებს შორის მორიგი დაპირისპირება მოხდა: თუ ბერლინი "რვიანის" ქვეყნებს კრიზისის დაძლევისთვის სახელმწიფო ხარჯების შემცირებისკენ მოუწოდებს, ვაშინგტონი პირიქით, ეკონომიკის სტიმულირების გზას სახელმწიფო ფულის გაცემაში ხედავს.

საქართველოს ეკონომიკაში მეტ-ნაკლებად გარკვეული ადამიანებისთვის აქვე ცხადი ხდება, რომ ქართული ხელისუფლების არჩევანი, რა გასაკვირია და - ამერიკულ არჩევანს ემთხვევა. ხელისუფლება, რომელიც საგადასახადო შემოსავლებში არსებულ პრობლემებს აღიარებს და საგადასახადო შემოსავლების პროგნოზს ამცირებს, ბიუჯეტის ხარჯებს 312 მილიონი ლარით ზრდის (შეგახსენებთ, რომ პარლამენტში შესული საბიუჯეტო ცვლილებების თანახმად, 2009 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მთლიანად დაგეგმილი 5 510 161 ათასი ლარის ნაცვლად, ცვლილების შესაბამისად, 5 137 516 ათასი ლარით განისაზღვრება, მათ შორის გადასახადები - 4 მლრდ 760 მლნ ლარის ნაცვლად, 4 მლრდ 260 მლნ ლარით. საგადასახადო შემოსავლების შემცირებაში ყველაზე დიდი წილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე (314 მლნ ლარი) და მოგების გადასახადზე (83 მლნ ლარი) მოდის. ამ უცნაურ "საბიუჯეტო არითმეტიკაზე" "24 საათი" უკვე წერდა. ითქვა ისიც, რომ



ექსპერტთა ნაწილი საბიუჯეტო ხარჯების ზრდის ნაცვლად მათ შემცირებას თვლის საჭიროდ. მაგალითად, ექსპერტი პაატა შეშელიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება, თავად გახედეს ინვესტორი - "ფულის ფლანგვა". პაატა შეშელიძე ქართული კრიზისის პიკის დადგომას სასექტემბროდ ვარაუდობს. "მკვეთრი საბიუჯეტო გარდატეხის" გარეშე პრობლემების გამწვავებაზე საუბრობს ექს-ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილიც.

ბიზნესის საბიუჯეტო ფულით სტიმულირების მომხრეა ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია, თუმცა იგი ამბობს, რომ შესაძლებელია კონკრეტული, დაახლოებით 500 მილიონის ღირებულების ანტიკრიზისული პაკეტი, რომელიც იქნება მიზნობრივი და გაითვალისწინებს ბიზნესის საჭიროებებს. ამასთან, ემზარ ჯგერენაიას მიაჩნია, რომ ეს თანხა შეარბილებს დარტყმას, თუმცა ვერ იქნება საკმარისი ქვეყნის კრიზისიდან გამოსავლად, ისევე როგორც ვერც ის საერთაშორისო დახმარება, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი როლი 2008 წლის მინურულს და 2009 წლის დასაწყისში შეასრულა, თუმცა დღეს მისი ოდენობა ისეთი მასშტაბური აღარ არის.

სხვათა შორის, სახელისუფლებო ოპტიმიზმის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ აღნიშნული დახმარებებია. 2009 წელს მოსალოდნელი განტეხების გრაფაში, ბოლო ცვლილებების შესაბამისად, წინასწარ გათვალისწინებული განტეხების ოდენობა 110 მლნ 503 ათასი ლარით იზრდება და ეს თანხა მთლიანად ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართება. საქართველოს პრემიერი ამბობს, რომ განტეხების ძირითადი მოცულობა საქართველოში სამემოდგომოდ შემოვა, ამასთან, ეკონომიკაში უკვე "ჩაშვებულმა" ფულმაც ეფექტის მოცემა უნდა დაიწყოს.

სანამ საქართველოში იმაზე დავობენ, სამემოდგომოდ კრიზისის გამწვავებას უნდა ველოდოთ თუ კრიზისიდან გამოსვლის დაწყებას, მსოფლიოში აზრთა სხვადასხვაობაა დღეს არსებული "გაუმჯობესების" ნიშნების ირგვლივ. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, მსოფლიოში ბიზნესი უფრო მეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი, ვიდრე ოფიციალური პირები:

მსოფლიოს კომპანიების უმეტესობა მიიჩნევს, რომ კრიზისის პიკი ან გადაღალბებულია, ან უახლოეს რამდენიმე თვეში დადგება. ამას ადასტურებს კომპანია Ernst &

Young-ის კვლევები, რომელთა თანახმად კომპანიები კვლავ ეკონომიკურ ვარდნასთან ადაპტაციაზე არიან ორიენტირებულნი, თუმცა უკვე პოსტკრიზისულ სტრატეგიაზეც ფიქრობენ.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა სხვადასხვა ქვეყნისა და ეკონომიკის დარგის სხვადასხვა დონის 569 მენეჯერი.

წინა კვლევასთან შედარებით, რომელიც კომპანიამ იანვარში ჩაატარა, გამოკითხვის მონაწილეთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კომპანიათა 50%-ზე მეტი გაყიდვების ვარდნას განიცდის, შემოსავლები კი მხოლოდ 31%-ს გაეზარდა.

რაც შეეხება კრიზისის დაძლევის პროგნოზებს, ამ საკითხში ტოპ-მენეჯერების მოსაზრებები გაიყო: მათი 25% მიიჩნევს, რომ ყველაზე ცუდი პერიოდი უკანაა, 42% დარწმუნებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკა უკვე ამულავნებს გამოცოცხლების ნიშნებს ან გამოავლენს მათ ამა წლის ბოლომდე. ისინი, ვინც დადებით ტენდენციებს მომავალი წლის მეორე ნახევრამდე არ ელიან, უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ნაკლებად ოპტიმისტები არიან "დიდი რვიანის" ქვეყნების ფინანს-

თა მინისტრები. მინისტრებმა გასული კვირის მინურულს იტალიაში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ სტაბილიზაციის ნიშნების გამოჩენის მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. მინისტრებმა აღნიშნეს, რომ ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის შემთხვევაშიც კი უმშუვერობა გაიზრდება.

ყაზახეთში მყოფმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა სტროს კანმა კი განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკა სტაბილიზაციის ნიშნებს ამულავნებს, თუმცა ის ვითარების ფრთხილი შეფასების მომხრეა. "მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე ცუდი პერიოდი, შესაძლოა, ჯერ კიდევ წინ იყოს," - ამბობს დომინიკ სტროსკანი.

თუმცა, იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, აშშ-ს ეკონომიკური აქტივობის შემცირების ტემპები შენედა, რაზეც ეკონომიკური ინდიკატორები მიანიშნებს. კერძოდ, ეს ეხება შრომისა და უძრავი ქონების ბაზრებს. მათ სრულ გაჯანსაღებას კი ექსპერტები 2010 წლისთვის ელიან.

მოსხენებაში აღნიშნულია, რომ სტიმულირების ზომები შეამსუბუქებს აშშ-ს რეცესიას მიმდინარე წელს და დაჩქარებს 2010 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიო კრიზისი სწორედ აშშ-დან დაიწყო და ამიტომ მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლის დაწყებასაც მსოფლიოში სწორედ ამ ქვეყნიდან ელიან. ცნობილია ისიც, რომ საკმაოდ დიდია შიდაქართულ ეკონომიკურ კრიზისში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წვლილი. თუმცა ქართველი და უცხოელი ექსპერტები იმაზეც თანხმდებიან, რომ ქართულ კრიზისს ყველა სხვა ქვეყნისგან განსხვავებული, "დამატებითი არგუმენტებიც" აქვს - დაწყებული აგვისტოს ომით, და 2009 წლის გაზაფხულზე პოლიტიკური დესტაბილიზაციით გაგრძელებული. ამიტომ ქართული ეკონომიკური კრიზისის გასაღებების ძებნას ექსპერტები, მსოფლიო ტენდენციების გარდა, გიდაპოლიტიკურ ვითარებაშიც შეივსებენ, რომლის პროგნოზირებაც ეკონომიკის მომავლის პროგნოზირებაზე უფრო მეტად უიმედო საქმეა.

ბანკებს კოორდინირებული კრედიტობა შეუნარჩუნა

ინოვაციური

საქართველოს ეკონომიკის მთავარ მიდევად 2008 წლის აგვისტომდე ქვეყნის საბანკო სექტორი ითვლებოდა. ახლა კომერციულ ბანკებში, სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ნაცვლად, შავი სიების მოცულობა იზრდება. დეველოპერები და ბანკირები კი ბაზარზე არსებულ კრიზისს ერთმანეთს აბრალებენ.

საქართველოს საბანკო სფეროში მიმდინარე პროცესს ექსპერტების ნაწილი უარყოფითად აფასებს, თუმცა საბანკო ასოციაციაში მიაჩნიათ,

რომ საბანკო სისტემაში საგანგაშო არაფერია. საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია ამბობს, რომ მიმდინარე პროცესების შეფასებისას აუცილებელია სესხების ოდენობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში 230%-ს აღწევს, ხოლო საშუალო ევროპული მაჩვენებელი 200%-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 31%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკრედიტო პორტფელის პროპორცია ეკონომიკასთან ნაკლებია. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში საბანკო

კრიზისები სწორედ საკრედიტო რისკების ზრდის შედეგად წარმოიქმნა. მაგრამ ამ თემაზე საუბრისას აშშ-ს ბაზრისა და საქართველოს ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბაზარზე არსებული პრობლემები, აგვისტოს ომის გარდა, ბანკების მიერ რისკების ცუდად გათვლამ განაპირობა - ქვეყნის მოსახლეობას ჯერ კიდევ დაბალი და არასტაბილური შემოსავალი ჰქონდა, ბანკებმა კი ბაზარზე აგრესიული პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს. ამიტომაც, არსებული სტატისტიკით, გრძელვადიანი კრედიტების 20%-ზე მეტი იპოთეკურზე მოდის. 2007 წელს იპოთეკური სესხების

მოცულობა, 2006 წელთან შედარებით, 50%-ით ანუ 600 მლნ. ლარით გაიზარდა, რამაც საბანკო მშენებლობის განვითარებას შეუწყო ხელი.

ექსპერტების შეფასებით, ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების უმთავრესი ფაქტორი საბანკო კაპიტალია. ის, როგორც საფინანსო რესურსი, ბანკების მიერ დაკრედიტებასა და რისკების განეიტრალებას განსაზღვრავს, რაც მენაბრეებისა და კრედიტორების მხრიდან ნდობის ფაქტორს უშუალოდ უკავშირდება, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით. ამ მხრივ საქართველოს

ბაზარზე მოქმედ ბანკებს კაპიტალი შეუმცირდა.

ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (ანუ, კაპიტალის თანაფარდობა რისკების მიხედვით შენონილ აქტივებთან), ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, მინიმუმ 12% უნდა იყოს, რაც საქართველოს საბანკო სექტორში დადგენილ ნორმატივზე მაღალია და, 2009 წლის თებერვლის მიხედვით, 14,7%-ს უტოლდება. აქედან გამომდინარე, საბანკო რისკების შემცირებასა და სტაბილურ დაფინანსებას სწორედ საკუთარი სახსრების საკმარისობა უზრუნველყოფს.

აუტოსორსინგი - ახალი სიტყვა სასჯელადსრულების სისტემაში

სასჯელადსრულების სისტემა ერთ-ერთი სამთავრობო ხელისუფლების განმტკიცებად, რომლის საქმიანობაშიც ყველაზე კარგად აისახება საზოგადოების დაკვეთის პრინციპზე აკვებული ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე სისტემის თავისებურებები. მართლმსაჯულების აღსრულება, რომელიც, ამ შემთხვევაში, დამნაშავეთა მიერ სასჯელის მოხდის უზრუნველყოფას გულისხმობს, პირველ რიგში, დამნაშავეთაგან საზოგადოების დაცვასა და მსჯავრდებულთა საზოგადოებრივ რესოციალიზაციას ემსახურება. ამ, ერთი შეხედვით, ურთიერთსაპირისპირო მიზნების განხორციელება, სასჯელადსრულების სისტემის გამჭვირვალობისა და საზოგადოების მხრიდან ნდობის განმტკიცება, ამ სისტემის დახურული ფორმით ფუნქციონირების ფონზე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს.



დიმიტრი შაშკინი.

საზოგადოებაში მსჯავრდებულთა წარმატებით რეინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია როგორც მსჯავრდებულთა თავისუფლებისთვის მომზადებაზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაზე გარკვეული გავლენის მქონე ორგანიზაციების პატრონაჟი, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სასჯელადსრულების სისტემის მუშაობის გამჭვირვალობასა და ლიბერალიზაციას და ხელს უწყობს საზოგადოების მხრიდან ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ ადეკვატური მიდგომის ჩამოყალიბებას.

სასჯელადსრულების დანესებულებების ეფექტური მუშაობისთვის გარე რესურსების გამოყენება ხდება. ეს რესურსები არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული სახელისუფლებო უზრუნველყოფაზე და სასჯელადსრულების დანესებულებების საქმიანობაში, ძირითადად, კერძო სექტორის ჩართვასა და თანამშრომლობას გულისხმობს.

ამგვარი ე. წ. აუტოსორსინგის (outsourcing) პრაქტიკა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს პენიტენციური სისტემათა საქმიანობაში დომინირებს. მაგალითად, კანადის სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემაში პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესი მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობასთან. ეს მონაწილეობა გამოიხატება, როგორც პენიტენციური ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ფორმაციული ხასიათის ღონისძიებებით, ისე მსჯავრდებულთა ჩაბმით საზოგადოებრივი დანესებულებების მხრიდან წარმოდგენილ პროგრამებში. ასეთი ღონისძიებები საქართველოშიც სასჯელადსრულების სისტემისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი პროექტების შეჯერების პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული.

სასჯელადსრულებითი მართვის კერძო სექტორისთვის გადაცემის იდეის წარმოშობა უკავშირდება ამ სისტემაში გავრცელებულ პრობლემებს, როგორცაა გადატვირთულობა, მატერიალური შეზღუდვა და ა. შ. დიდ ბრიტანეთში 30-იან წლებში უარყოფილ აზრს, ადმინისტრაციის გარკვეული ფუნქციები კერძო მომწოდებლებს გადასცემოდათ, გამოხმაურება 80-იან წლებში აშშ-ში მოჰყვა. ამის შემდეგ აუტოსორსინგი გავრცელდა საფრანგეთში, კანადაში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში - როგორც სახელმწიფო ხარჯების შემცირებისა და პენიტენციური სისტემის მოქმედების ეფექტურობის გარანტი.

სასჯელადსრულებით მე-ნეჯმენტში კერძო სექტორის მონაწილეობის ორ მოდელს განასხვავებენ: 1) ჩრდილოამერიკული მოდელი უშვებს კერძო მომწოდებლის ჩართვას პენიტენციური მართვის ყველა სფეროში როგორც მომარაგების, ისე მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. 2) ფრანგული მეთოდის მიხედვით, სახელისუფლებო სექტორი, ანუ პენიტენციური ადმინისტრაცია, რჩება დასჯის და კონტროლის განხორციელებაზე კომპეტენციის მქონე ორგანოდ. ამდენად, აუტოსორსინგის პრინციპით თანამშრომლობა მხოლოდ სამომხმარებლო და სარეაბილიტაციო მიმართულებებით იზღუდება. ადმინისტრაციის ფუნქციების კერძო სექტორზე დელეგირების მასშტაბების გამო, ამერიკული აუტოსორსინგი ძალიან უახლოვდება პრივატიზაციას. აქ ისეთ მასშტაბებზეა საუბარი, როცა სასჯელადსრულებითი დანესებულებებიც კერძო ოპერატორს გადაეცემა ე. წ. კერძო ციხის ფორმით.

საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან აუტოსორსინგის ფორმით თანამშრომლობა ფრანგული მოდელის მიხედვით ხორციელდება და მოიცავს როგორც მატერიალური მომარაგებისა და მომსახურების სფეროს (როგორცაა საკვები, ელენერჯითა

და კომუნიკაციებით უზრუნველყოფა), ისე სარეაბილიტაციო, სოციალურ, საგანმანათლებლო ან გადამზადებითი ხასიათის კონსულტაციურ სამუშაოებს. მომსახურების სფეროში თანამშრომლობისგან განსხვავებით, აუტოსორსინგის მეორე ფორმა უშუალოდ მსჯავრდებულთან მუშაობას გულისხმობს, რომელიც მისი რეაბილიტაციისა და ინტეგრაციისაკენ არის მიმართული.

დღეისთვის უკვე ნათელია, რომ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლობამ მსჯავრდებულთა კვებაზე პასუხისმგებელ კომპანია "მეგაფუდთან" გაამართლა და საკვებით მომარაგებისა და მისი ხარისხის პრობლემა აღარ არსებობს. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან თითოეულ პატიმარზე თვიური კვების ულუფა 23 ლარიდან 90 ლარამდე გაიზარდა. აუტოსორსინგის ეს მაგალითი ნამდვილად წარმატებულ თანამშრომლობად უნდა მივიჩნიოთ.

ასეთი ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისას, პარტნიორი დანესებულების ნდობის ხარისხი სამინისტროსთვის საზოგადოებაში წინა პლანზე იწევს. ნდობის კრიტერიუმები და საზოგადოების ზნეობრიობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საქმე ეხება პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებთან დაკავშირებით განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს. ამიტომ, პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე შესრულებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი პირველი შეთანხმების გაფორმება საქართველოს მთავრობასა და საპარტიარქოს შორის მოხდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ძალისხმევა და ღონისძიებები, რასაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სასჯელადსრულების დანესებულებებში ახორციელებს. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში კიდევ უფრო გაძლიერდება ის თანამშრომლობა, რო-

მელსაც უკვე მრავალი წელია ჩაყრილი აქვს საფუძველი.

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტად სამინისტროს შექმნის დღიდანვე განისაზღვრა. განათლება მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი რეინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა. პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ქვეყანაში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობას დისტანციური სწავლებისა თუ პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის მეშვეობით. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო სხვადასხვა უნივერსიტეტებთან შეთანხმების დადებით და გრძელდება თანამშრომლობის პროგრამების შექმნის მიზნით. თავის მხრივ, უნივერსიტეტებისთვისაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა სასჯელადსრულების სისტემაში კვლევების განხორციელება და შესაბამისი კადრების მომზადების კვალიფიკაციის ასამაღლებლად პრაქტიკის ჩვენს სისტემაში გავლა. ესაც მაგალითია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების იმ თანამშრომლობისა, რომელიც ორივე მხარისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიებში მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობების გამოვლენას, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა კვებაზე პასუხისმგებელ ფირმასთან.

ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ რაც უფრო ფართოა გარე კომპანიის მიერ პენიტენციური მართვის განხორციელების ფარგლებში, მით უფრო მაღალია სასჯელადსრულების დანესებულების მე-ნეჯმენტის ხარისხი და მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს სასჯელადსრულების სისტემა ამ კუთხით პირველი ნაბიჯების გადადგმის პროცესშია. ასეთი პრაქტიკის განხორციელებას, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, თანაბრად სჭირდება ინიციატივები, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი და კერძო სექტორებიდან. საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო კერძო სექტორი განვითარების ადრეულ ეტაპზეა. ამიტომ, აქვეს პოლიტიკა ისე ფართოდ ვერ გაიშლება, როგორც ეს რიგ დასავლურ ქვეყნებშია. მეორე მხრივ, ამ პროგრამებში ქართული კომპანიების ჩართვას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი მათ შემდგომ განვითარებას. ამასთან, რამდენადაც საქმე საზოგადოებისთვის მეტად მგრძობიარე ინსტიტუტს ეხება (როგორც პენიტენციური სისტემა), აუტოსორსინგის ამუშავება წინასწარ გათვლებზე არის დამყარებული. ასევე, ყოველთვის გასათვალისწინებელია კერძო სექტორის მზაობის დონე სასჯელადსრულების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობისთვის.

დიმიტრი შაშკინი, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

სოფელ ველისციხეში სარწყავი სისტემა გაძარცვეს

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა გაძარცვეს. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრს" წყალმომარაგებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ივერი ონოფრიშვილი აცნობა.

ონოფრიშვილის თქმით, ველისციხის სარწყავი სისტემა ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე გაიძარცვა. "ჰიდრანტიკის შეუკეთებლობის შემთხვევაში გლეხებს მოწყვის პრობლემა ექნებათ, ხოლო მიმდებარე ტერიტორიას დატბორვა ემუქრება", - განაცხადა ივერი ონოფრიშვილმა.

ველისციხის სარწყავ სისტემაში სულ 6 მაგისტრალი შედის და 743 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული ირწყვება.

ალსანიშნავია, რომ სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მსოფლიო ბანკმა დააფინანსა. სამუშაოებისათვის რამდენიმე მილიონი გაიხარჯა.

ინციდენტი სოფელ ნანრეთში

გორის რაიონის სოფელ ნანრეთში 73 წლის გიორგი ხელაშვილს ხელში ხელყუმბარა აუფეთქდა.

შიდა ქართლის პოლიციის უფროს ვლადიმერ ჯუღელის განცხადებით, აფეთქების შედეგად ხელაშვილს მარჯვენა ხელზე ორი თითი მოსწყდა. დაშავებული ამ დროისთვის გორის საავადმყოფოშია გადაყვანილი და სამედიცინო დახმარება უტარდება. "სად იპოვა დაზარალებულმა ხელყუმბარა, ჩვენთვის ამ დრომდე უცნობია. მოგვიანებით ამას დავადგენთ, რათა ადგილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე განაღმვითი სამუშაოები ჩავატაროთ," - აცხადებს ვლადიმერ ჯუღელი.

სოფელი ნანრეთი აგვისტოს ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული და რუსულ მხარეს იქ სამხედრო ბაზაც ჰქონდა.

პირველი

ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

ამონაწერი აღმასრულებელი საბჭოს 2009 წლის გადაწყვეტიებიდან

გატყობინებთ, რომ 2009 წლის 15 ივნისს დაინიშნა ადმინისტრაციული წარმომადგენელი და ვალდებულების მქონე წევრთა გამოვლენისა და გარიცხვის საფუძველი.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გაცნობებთ:

ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმომადგენლისა და ვალდებულების მქონე წევრთა ასოციაცია", მისამართი: თბილისი, ბარნოვის 75. ტელ: 8 22 22-46-64, 8 22 18-34-86.

ბ) ადმინისტრაციული წარმომადგენლის დანაშაულის თარიღი 2009 წლის 15 ივნისი;

გ) ადმინისტრაციული წარმომადგენლის საგანი - საწევრო გადაუხდელ პირთა გარიცხვა;

დ) წარმომადგენელი მონაწილე დაინტერესებულ პირთა ვინაობა - ასოციაციის წევრები, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება.

ე) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღი - 2009 წლის 18 ივლისი.

დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმომადგენელში მთავრდება 2009 წლის 15 ივლისს.

გარიცხვის კანდიდატთა სავარაუდო სია გამოქვეყნდება ასოციაციის ვებ-

გვერდზე www.gba.ge და ასევე, შეგიძლიათ გაცნოთ ასოციაციის ოფისში.

გარიცხულ ადვოკატთა სია გადაეცემა სასამართლოებს და სასჯელადსრულებით დანესებულებებს.

p.s. იმ წევრთა საყურადღებოდ რომელთა გვარი არასწორად დაფიქსირდა ზემოთ აღნიშნულ სიაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ასოციაციის ოფისს (+995 32 22 46 54, +995 18 34 86)

სასჯელადსრულების დანესებულებები 47-მა პატიმარმა დატოვა

შენჯალის კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძის განცხადებით, შენჯალის კომისიამ 250-მდე საქმე განიხილა და, საბოლოო ჯამში, 47 პატიმარის შენჯალის გადაწყვეტილება მიიღო. განსახილველ საქმეებს შორის რამდენიმე არასრულწლოვანის საქმეც მოხვდა და კომისიამ ყველა მათგანი შეიწყალა. "კომისიამ 47 პატიმარი შეიწყალა, თერთმეტს კი სასჯელი გაუნაჩვენა. ჩვენ 250-მდე საქმედ მივიჩინეთ საქმე განვიხილეთ. სიაში იყვნენ ქალებიც, მაგრამ ცნობილი ბუნტის გამო არც ერთი ქალი პატიმარი შენჯალის გადაწყვეტილება მიიღო, - განმარტავს ელენე თევდორაძე. მისივე თქმით, ყველა ის წერილი, რომელიც პრეზიდენტის სახელზე კანცელარიაში იყო შესული, ამ დროისთვის განხილულია. "შენჯალის გადაწყვეტილების განხილვის ახალი ეტაპი შემოდგომაზე დაიწყება, როცა შენჯალის კომისიის მომდევნო სხდომა გაიმართება. შესაბამისად, შენჯალის მომდევნო ეტაპი შემოდგომაზე იგეგმება," - აცხადებს ელენე თევდორაძე.

პირველი

იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები დევნილებთან შეხვედრებს განაგრძობენ

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები გუშინ ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს შეხვედებიან და უფასო სამართლებრივი კონსულტაციები გაუწიეს. ღონისძიება სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში გაიმართა. როგორც იურიდიული დახმარების სამსახურში აცხადებენ, შეხვედრა ჩატარდა იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული ფარგლებში, რომელიც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისთვის უფასო კონსულტაციების გაწევას ითვალისწინებს. ღონისძიების მიზანია უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ დევნილთა ინფორმირება. იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა უკვე მონაზულეს იძულებით გადაადგილებულ პირთა რამდენიმე კომპაქტური დასახლება. დევნილთათვის განკუთვნილი გავლითი სამართლებრივი კონსულტაციები თბილისს, ასევე მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონებს მოიცავს. იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წლის ივლისიდან მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. 2009 წლის თებერვლიდან სამსახური ფუნქციონირებას სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში აგრძელებს.

ინტერპრესნიუსი

ეკა ბესელიას პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტზე სასამართლოში სარჩელი შეაქვს

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურ მდივან ეკა ბესელიას განცხადებით, მშვიდობიანი მომიტინგეებზე განხორციელებული ქმედება უმძიმესი დანაშაულია და 16 ივნისს, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტთან დაკავშირებით, ის სასამართლოში სარჩელს შეიტანს. ბესელიას შეფასებით, პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტი 2007 წლის 7 ნოემბერზე მიძიმე დანაშაულია. "ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები კანონის სრული დაცვით პოლიციის შენობიდან გზის მოპირდაპირე მხარეს მშვიდობიანი ფორმით აპროტესტებდნენ პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ რეპრესიებსა და დაპატიმრებებს, როდესაც სამმართველოდან მოულოდნელად პოლიციისა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული, რეზინისა და რკინის ხელკეტებით შეიარაღებული 300-მდე ნიღბიანი პირი გამოვარდა. დარბევა არნახული სისასტიკითა და ძალადობრივი მეთოდებით განხორციელდა. პოლიციელებმა არც გოგონები და არც იქ მყოფი ჟურნალისტები არ დაინდეს, რომლებიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. დარბევას პოლიციის მხრიდან 37 ახალგაზრდის უკანონოდ დაკავება მოჰყვა," - განაცხადა ეკა ბესელიამ. ის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღუელაძის განცხადებას გამოეხმაურა მომხდარი ინციდენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოდის ნაცვლად მას მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების დაწყებაზე უნდა ესაუბრა. "ვითხოვ მინისტრისა და დარბევაში მონაწილე ყველა პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიცემას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 144-ე, 147-ე, 153-ე, 156-ე, 161-ე და 154-ე მუხლებით ჟურნალისტებისთვის გადაღებული მასალის დაბრუნებას. დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად სარჩელს მოვამზადებთ," - აცხადებს ეკა ბესელია.

მედიანიუსი

დასჯილი პოლიციელები და არასამთავრობოების შეფასება

15 ივნისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან განვითარებულ მოვლენებს საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა და მომხდარი ერთგვაროვნად - სამართალდამცველების მხრიდან უკანონო ქმედებად შეფასდა. პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა. "15 ივნისს, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა ჩატარა, რომლის შედეგადაც, 2 თანამშრომელს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, 4 თანამშრომელს - საყვედური, ხოლო სამ თანამშრომელს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ უხდის ბოდიშს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომუშავე ჟურნალისტებს იმის გამო, რომ მათი პროფესიული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელდა სრულად ვერ უზრუნველყო," - აღნიშნულია განცხადებაში.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადებით, მომიტინგეების დარბევის ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც "ხელისუფლების მიერ სანქცირებული უკანონო ძალადობა, რომლის შედეგადაც რამდენიმე ათე-

ულმა მოქალაქემ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო, ხოლო რამდენიმე ათეული უკანონოდ დააკავეს." საია განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენელი, რომელიც სპეციალური საიდენტიფიკაციო ფორმით იმყოფებოდა, მიზანმიმართულად სასტიკად სცემეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ან მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, - განმარტავს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ." ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ "პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, თუმცა ვალდებულია ამის შესახებ "წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა შეასრულოს." საია-ს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი შეკრება იმართებოდა სამმართველოდან კანონით აკრძალული პერიმეტრის (სამმართველოდან 20 მეტრის რადიუსში) ფარგლებში, პოლიცია ვალდებული იყო, შეკრების მონაწილეები წინასწარ გაეფრთხილებინა და მათთვის დრო მიეცა, პოლიცი-

ის კანონიერ მოთხოვნას დაემორჩილებოდნენ. თუმცა, პოლიციის მხრიდან შეკრების დაშლის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია. "უკანონობა, რომელიც პოლიციის სამმართველოსთან მომიტინგეთა სასტიკი დარბევით დაიწყო, დღის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, როდესაც საია-ს ადვოკატებს პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლაციაში მოთავსებული დაკავებულების მონახულებისა და სასამართლო პროცესებზე მათი დაცვის განხორციელების უფლება არ მიეცათ, - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები, რომლებიც მოუწოდებენ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის მიზნით, უმოკლეს ვადაში ყველა ის პასუხისმგებელი პირი დასაჯოს, ვინც მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის ბრძანება გასცა. ასევე წინასწარი დაკავების იზოლაციაში და თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკავებულ პირთა კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტებს სათანადო შეფასება მისცეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "საზოგადოებრივი დამცველი" ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას გმობს. როგორც "საზოგადოებრივი დამცველის" წევრები აცხადებენ, ბოლო 2 თვის განმავლობაში, თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს, ადგილი ჰქონდა ათეულობით შემთხვევას, როდესაც მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებმა სხვადასხვა ძალადობრივი ფორმები და მეთოდები გამოიყენეს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრი" მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ორგანიზაციას მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 3-ა მე-2 სადარბაზო, ბინა 22. ტელ: 45-45-33; 37-69-50. გუშინ თბილისის პოლიციის სამმართველოსთან დაკავებული პირების საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ ოფიციალური განმარტება გააკეთა. სასამართლოს ინფორმაციით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე 40 პირის მიმართ. ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა - 400 ლარი შეეფარდა 32 პირს, ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა ექვსს, ხოლო სასამართლოს მიერ 2 პირის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან დაკავებულ ოპოზიციის ხუთ აქტივისტს: გიორგი საბანიძეს, დაჩი ცაგურას, მერაბ ჭიკაშვილს, მიხეილ მესხს და გიორგი ჩვითარიშვილს 30 დღით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. საკუთარი ინფორმაცია

რუსული მაფია ესპანეთში

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რატომ გათავისუფლდა თანამდებობიდან ყველასთვის მოულოდნელად რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მალაჩინოსანი იგორ სობოლევსკი, რუსეთის ფედერაციაში ჯერჯერობით არ არსებობს. სამაგიეროდ, იგორ სობოლევსკის გათავისუფლების მიზეზებზე საუბრობს ესპანური პრესა. ესპანური გამოცემების ინფორმაციით, იგორ სობოლევსკის თანამდებობიდან დათხოვნა ესპანეთში ჩატარებულ ოპერაცია სამეულს უკავშირდება, რომლის დროსაც, რუსული მაფიის წარმომადგენლები დააკავეს. რა კავშირშია ყოფილი მალაჩინოსანი ესპანეთში დაკავებულ რუსულ-ესპანურ მაფიის წევრებთან, ჯერჯერობით უცნობია.



რუსული მაფიის წარმომადგენელი ესპანეთში დაკავებისას

ონში ჩატარდა. დაკავებულთა უმრავლესობას სამართალდამცველებმა ხელბორკილები მადრიდში, ბარსელონაში, ვალენსიაში, მალაგასა და ალიკანტეში დაადეს. გამოძიების ინტერესის სფეროში სამი გაველნიანი რუსული მაფიოზური დაჯგუფების ხელმძღვანელები მოექცნენ. ესპანური გამოცემების მიერ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ოპერაცია

"სამეულის" მსვლელობისას გაირკვა, რომ დაკავებულები რუსეთის ხელისუფლებასთან, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. ესპანური პრესა წერს, რომ არსებობს საკმაოდ ვრცელი სია, რომელიც რუსეთის ფედერაციის ის მალაჩინოსნები არიან მოხვედრილი, რომლებსაც ესპანეთში მყოფ მაფიოზებთან აქტიური კავშირი

ჰქონდათ. ამ სიაში ყოფილი და ახლანდელი მინისტრები და პოლიტიკოსები არიან. როგორც გაირკვა, რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მალაჩინოსანი იგორ სობოლევსკი თანამდებობიდან ქვეყნის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ბრძანებულების საფუძველზე გათავისუფლდა. მისი დათხოვნის ბრძანება კრემლის საიტზე 2 ივნისს გამოქვეყნდა. ესპანური კანონმდებლობის თანახმად, ოპერაცია "სამეულის" შედეგად დაკავებულ რუსული მაფიის წევრებს, რომლებსაც ესპანურ მაფიასთან კავშირი და თანამშრომლობა არაა დასაბუთებული, ექვემდებარებიან ბრძანებას, ექვემდებარებიან პირად მრავალ დანაშაულში - კონტრაბანდაში, არაკანონიერ გარიგებებში, დაკვეთილ მკვლევლობებში, გამოძალავებაში და ნარკოტიკითა და იარაღით ვაჭრობით მოპოვებული ფულის გათეთრებაში. როგორც გაირკვა, ესპანელმა სამართალდამცველებმა 500-ზე მეტი საბანკო ანგარიში აღმოაჩინეს, რომლის საშუალებითაც, რუსული მაფიის წარმომადგენლების მიერ ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ევრო თეთრდებოდა.

ირანში ხმების ხელახლა გადასათვლელად ემზადებიან

მარიკა იაშვილი



ირანის უმაღლესმა ხელისუფალმა აიათოლა ალი ჰომენეიმ შესაძლო დარღვევების გამოძიების ბრძანება გასცა

მოთხოვნა არჩევნების შედეგების ანულირება. აშმადინეჯადი კი ამტკიცებს, რომ ხმის მიცემის პროცესი სამართლიანად და დარღვევების გარეშე ჩატარდა. არჩევნების შედეგების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები კი მან "ფეხბურთის მატჩის შემდეგ დაწყებულ არეულობას" შეადარა.

ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აქციების ორგანიზატორები დაკავებულნი არიან. არსებული მონაცემებით, მათ იარაღი და ასაფეთ-

ქებული მონაცემები აღმოუჩინეს. აქციებს რამდენიმე ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა.

ამავე დროს მოქმედი პრეზიდენტისა და ოპოზიციის წარმომადგენლები დედაქალაქის ცენტრში ახალი გამოსვლებისთვის ემზადებიან. ორშაბათს ჩატარებულ აქციებში ასობით ათასი ადამიანი მონაწილეობდა. სამართალდამცავებმა ათობით აქტივისტი დააკავეს, მათ შორის მალაჩინოსანი რეფორმისტი პოლიტიკოსებიც.

როგორც ჩანს, ირანის ხელი-

სუფლება სულ უფრო ნაკლებად უჭერს მხარს პრეზიდენტ აშმადინეჯადს. ქვეყნის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანმა აქციების დარბევა გააკრიტიკა და ძალადობაზე პასუხისმგებლობა შინაგან საქმეთა მინისტრს დააკისრა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ორშაბათს საპროტესტო აქციის დაშლის დროს შვიდი ადამიანი დაიღუპა. თუმცა თავდაპირველად ინფორმაცია მხოლოდ ერთი გარდაცვლილის შესახებ ვრცელდებოდა.

ადგილობრივი ტელევიზიის ცნობით, რაიონში, სადაც მუსავის მხარდამჭერთა მიტინგი მიმდინარეობდა, პერიოდულად სროლა ისმოდა. სამართალდამცავებმა მანიფესტანტების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს, რასაც რამდენიმე მათგანის გარდაცვალება მოჰყვა.

თეირანის ცენტრში, აზადის გამზირზე, ხელისუფლების აკრძალვის მიუხედავად, მუსავის ასობით ათასი მხარდამჭერი შეიკრიბა. აშმადინეჯადის მთავარ მეტოქეს მხარს უჭერს, ძირითადად, განათლებული ახალგაზრდობა და ინტელიგენცია, რომლებიც სოციალურ თავისუფლებას, ცხოვრების დონის ამაღლებას და დასავლეთთან ურთიერთობების მოგვარებას ითხოვენ.

დემონსტრანტები საპრეზიდენტო არჩევნების განმეორებით ჩატარებას ითხოვდნენ. სალამოსთვის მათი რაოდენობა არათუ შემცირდა, გაიზარდა კიდევ. ადგილობრივი წყაროს ცნობით, დემონსტრანტთა რაოდენობამ მილიონსახევარს გადააჭარბა. მოგვიანებით მომიტინგეებს თავად მუსავიც შეუერთდა და განაცხადა, რომ მზად არის, არჩევნებში კიდევ ერთხელ მიიღოს მონაწილეობა. ეს დამარცხების შემდეგ ოპოზიციის ლიდერის ხალხში პირველი გამოჩენა იყო.

საპრეზიდენტო არჩევნებში ოფიციალური ვერსიით მოქმედმა პრეზიდენტმა ხმათა 62.2 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა რეფორმისტმა მეტოქემ - 33.75. მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად საარჩევნო უბნებზე ირანელ ამომრჩეველთა 85 პროცენტი გამოცხადდა.

კოპენჰაგენი მეორე ამსტერდამად გადაიქცევა

მარიკა იაშვილი



კოპენჰაგენი მეორე ამსტერდამად გადაიქცევა

სირთულის გარეშე შეიძლება. კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ასეთ რადიკალურ წინადადებას სხვა დანიელი პოლიტიკოსებიც უჭერენ მხარს. ქალაქის კავებში მსუბუქი ნარკოტიკების გაყიდვას დიდი უპირატესობა აქვს, - განაცხადა დანიის "ლიბერალური პარტიის თამაჯ-

დომარემ" ლარს დუეჰოლმა, - მე არ მიმაჩნია, რომ კანაფის მავნე ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე აჭარბებს მრავალრიცხოვანი დანაშაულის მიერ მიყენებულ ზიანი, რასაც მისი ლეგალურად გაყიდვის აკრძალვა იწვევს. ამჟამად მარიხუანის ირგვლივ შექმნილი ვითრება მშრალი კანონის"

დროს მაგონებს, როდესაც 1930-იან წლებში აშშ-ში ალკოჰოლის გაყიდვა აკრძალა. ამიტომ პირადად მე ამ ნარკოტიკის გაყიდვის ლეგალიზების მომხრე ვარ." ამავდროულად კოპენჰაგენის ბურგომისტრის წინადადებაზე დაინიერ კონსერვატორ-ნაციონალისტთა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.

მიკელ ვარმინგი ცდილობს, სოციალურად რთულ მდგომარეობაში მყოფი დანიელების სისუსტეები გამოიყენოს, - მიაჩნია დანიის "კონსერვატიული პარტიის" ლიდერ მონს ლენბორგს, - ბუნებრივია, ვისაც სუსტი ნებისყოფა აქვს და ცდილობს, რეალობას ნარკოტიკებით გაექცეს, ამხელა ცდუნებას ვერ გაუძლებს და პირველი მსხვერპლი გახდება. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ხალხს სამუდამოდ დაეკარგავთ."

რამდენიმე დღის წინ კოპენჰაგენის მერიის სამუშაო კომისიამ კანაფის და მისგან წარმოებულ ნივთიერებათა ლეგალურად გაყიდვის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა დაასრულა. პოლანდის მაგალურად გაყიდვის პროცესს ნარკოპოლიცია აკონტროლებს, აჩვენა, რომ კანაფით ვაჭრობის ლეგალიზებას დანაშაულის შემცირებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. თუმცა, მეორე მხრივ, კვლევამ აჩვენა, რომ მარიხუანას თავისუფალი გაყიდვა მის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას არ განაპირობებს. გავრცელებული ინფორმაციით, კოპენჰაგენის მუნიციპალური მთავრობა ახლო მომავალში ექსპერიმენტის სახით საგანგებო კავების ქსელის გახსნას გეგმავს, სადაც მსუბუქი ნარკოტიკები გაყიდება.


შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ჩინეთი ღიადროს

ნა შილასა

გუშინ ეკატერინბურგში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა სამიტი დამთავრდა. წევრი ქვეყნების გარდა (ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი), შეხვედრაში მონაწილეობდნენ დამკვირვებლის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოთა ლიდერები: პაკისტანის, ავღანეთისა და ირანის პრეზიდენტები, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი და მონღოლეთის ვიცე-პრემიერი.

გაფართოებულ სხდომაზე ქვეყნის ხელმძღვანელებმა და დელეგაციების წევრებმა შეიმუშავეს ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც ორგანიზაცია უახლოეს მომავალში უნდა განვითარდეს. მხარეებმა განიხილეს გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე პრობლემები, უშიშროების საკითხები, აგრეთვე ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხე და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთის საშუალებები. საბოლოო შეფასებები და მიღებული შეთანხმება აისახა ეკატერინბურგის დეკლარაციაში და ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ერთობლივ კომუნიკეში ტერორიზმის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს დაეთმო. ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა ჩინეთის ხელმძღვანელმა ხუ ძინტაომ. მან შეხვედრის მონაწილეებს შესთავაზა წევრი ქვეყნების საბანკო სისტემების თანამშრომლობის სქემა, რაც მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში. მისი აზრით, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიძლება მყარი საფუძველი გახდეს მაკროეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის შესათანხმებლად. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთთან ნაზარბაევმა წამოაყენა იდეა წევრი ქვეყნებისთვის ერთიანი ვალუტის ან ანგარიშსწორების რაიმე ერთეულის შექმნის შესახებ, რომელიც ძირითადი ვალუტების კალათზე იქნება მიბმული. ამ იდეის განხილვა ალბათ გაგრძელდება. ეს თემა რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმაც განაცხადა. მისი აზრით, შეიძლება რაღაც იმდენად ჩამოყალიბება, რაც იყო ეკო ევროკავშირის ქვეყნებისთვის ევროს შემოღებამდე. ხოლო რაც შეეხება ისეთი დამატებითი სარეზერვო ვალუტის შექმნას (დღეს ასეთი მხოლოდ დოლარი და ევროა, რასაც რუსეთის პრეზიდენტი არასაკმარისად მიიჩნევს), რომელშიც ფულის დაგროვება შეიძლება განხორციელდეს, ეს პრეზიდენტების გადაწყვეტილებით არ ხდება, ამისთვის მყარი



ეკონომიკა და შესაბამისი ავტორიტეტის დაგროვება საჭირო. რუსეთის პრეზიდენტმა, თავისი ქვეყნის ტრადიციული ამბიციებიდან გამომდინარე, არ გამოიხატა, რომ ერთ-ერთი ასეთი ვალუტის როლი მომავალში შეიძლება რუსულმა რუბლმაც შეასრულოს.

თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით რეალური ნაბიჯი არა რუსეთმა, არამედ ჩინეთმა გადადგა, რომლის წამყვანი როლი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ჯერჯერობით უდავოა. ხუ ძინტაომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, ორგანიზაციის წევრებს ეკონომიკური კრიზისთან საბრძოლველად ათი მილიარდი დოლარის კრედიტი გამოუყოს. რუსეთს არ შეუძლია ასეთი მდიდრული საჩუქრების გაღება და შესაბამისად ამით მისი ავტორიტეტი იჩაგრება. რუსეთის პრეზიდენტის თანამშემუნე არკადი დვორკოვიჩმა განაცხადა, რომ რუსეთი არ გამოიყენებს ამ ფულს კრიზისთან საბრძოლველად. ჩინეთთან არაოფიციალურ მეტოქეობაში მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ ცენტრალური აზიის დანარჩენ ქვეყნებს ამ კრედიტში არ "ჩაეზარა". საერთოდ, რუსეთს ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ ჩინეთის მსგავსი პირობებით გასცეს კრედიტები. ამ უკანასკ-

ნელს თითქმის ორი ტრილიონის საერთაშორისო რეზერვები აქვს, რუსეთზე მთელი თავი მალე დაგას და ამ მდგომარეობას აქტიურად იყენებს. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის აქილესის ქუსლი ის არის, რომ არ აქვთ მრავალმხრივი ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც ყველა წევრ ქვეყანას მეტ-ნაკლებად მოიცავს, სამაგიეროდ ბევრი ორმხრივი ეკონომიკური პროექტები: ჩინეთი-ტაჯიკეთი, ჩინეთი-უზბეკეთი, ჩინეთი-ყირგიზეთი. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ჩინეთმა ყაზახეთს 20-მილიარდიანი კრედიტი გამოუყოს და სანაცვლოდ აქტიურად მონაწილეობს ნახშირწყალბადების საბადოების ათვისებაში... ჩინეთი მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად შედის ცენტრალურ აზიაში და ამისთვის შანხაის ორგანიზაციასაც იყენებს, რაც რუსეთისთვის სასიამოვნო პროცესი ნამდვილად არ არის.

რაც შეეხება ეკატერინბურგის სამიტის პოლიტიკურ ნაწილს. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ დიალოგში პარტნიორობის სტატუსი კიდევ ორ ქვეყანას მიანიჭა: ბელარუსს და შრილანკას. წევრი ქვეყნები დეკლარაციის ცალკე პუნქტით შეეხნენ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას, აღნიშნეს, რომ ატომური იარაღის გავრცე-

ლება სერიოზული საფრთხეა საერთაშორისო საზოგადოებისა და მსოფლიო უსაფრთხოებისთვის. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დიალოგის გაგრძელება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

სამიტის ჩარჩოებში გაიმართა მთელი რიგი ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებს შორის, რომელთა უმრავლესობაც ეკატერინბურგში 15 ივნისს ჩავიდა. მათ პრეზიდენტი მაშუმუდ აჰმადინეჯადი ერთი დღის დაგვიანებით შეუერთდა. ამ შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი თერანაში არსებული არეულობები გახდა, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო პირობებში არჩევამ გამოიწვია. დმიტრი მედვედევი მოუცვლელის გამო მაინც შეხვდა ირანის პრეზიდენტს. რუსეთმა ლიდ განაცხადა, რომ არჩევნები ირანის საშინაო საქმეა. აჰმადინეჯადიც ჩვეული რიხით იღებდა მილოცვებს და მსოფლიოს იმპერიების კრიზისისა და დედამიწაზე ირანის განსაკუთრებული როლის შესახებ (?)აკეთებდა განცხადებებს.

ეკატერინბურგში შემდგარი ორმხრივი კონტაქტებიდან საერთაშორისო პრესამ განსაკუთრებულად პაკისტანის პრეზიდენტ ასიდ ალი ზარდარისა და

ინდოეთის პრემიერ-მინისტრ მანმოხან სინგის შეხვედრა აღნიშნა. ეს შეხვედრა პირველი იყო მუშაის ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ. მათ ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს, მაგრამ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ პაკისტანის ტერიტორია ტერორიზმისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული.

ეკატერინბურგის შეხვედრის შედეგები მოკლედ შეაჯამა მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა და ორგანიზაციის თავმჯდომარეობა რუსეთისგან უზბეკეთს გადასცა. მომდევნო სამიტი 2010 წელს ტაშკენტში გაიმართება.

საინტერესოა, რომ თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის სამიტის დახურვის შემდეგ იქვე, ეკატერინბურგში გაიხსნა, ოთხი ქვეყნის არაფორმალური თანამშრომლობის: ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის (ე.წ. "პრიზ"-ის) ისტორიაში პირველი სამიტი. შეხვედრები ჯერ ვიწრო წრეში, შემდეგ კი დელეგაციების წევრთა მონაწილეობით გაიმართება. ცხადია, იქნება ორმხრივი შეხვედრებიც.

პრობრუსი ჩინურად

დახვრეტა თანამედროვე მომაკვდინებელი ინექციით იცვლება

მარკა იახვილი

ჩინეთი წლის ბოლომდე უარს იტყვის დახვრეტაზე და სიკვდილით დასასჯელად თანამედროვე მომაკვდინებელ ინექციას გამოიყენებს. ეს პროცესს უფრო გაამარტივებს და ფსიქოლოგიურად შედარებით იოლად გადასატანს გახდის, როგორც თავად მსჯავრდებულებისთვის, ასევე ჯალათებისა და სიკვდილიმისჯილთა ოჯახებისთვისაც.

სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ახალ სისტემაზე გადასვლას ჩინეთის 1997 წლიდან ცდილობს, თუმცა ამას ხელს ის ფაქტი უშლიდა, რომ სასიკვდილო ინექცია დახვრეტაზე ძვირი ჯდება: სასიკვდი-

ლო ქიმიკატის ერთი დოზა 300 იენი ანუ, დაახლოებით, 45 დოლარი ღირს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონი ამ მეთოდს უკვე იყენებს.

წლის ბოლომდე სპეციალური ოთახი, სადაც მსჯავრებულებს ინექციას შეუყვანენ, პეკინის ერთ-ერთ ციხეში მოეწყობა. სიკვდილიმისჯილთა დიდი ნაწილი ისედაც ამ პენიტენციულ დაწესებულებაში ელოდება განაჩენის აღსრულებას, აქედან გამომდინარე, მათი სადმე გადაყვანის აუცილებლობა აღარ იარსებებს.

ჩინეთში სიკვდილით დასჯილ ადამიანთა რაოდენობა სახელმწიფო საიდუმლოა. მხოლოდ ის არის

ცნობილი, რომ იქ წლის განმავლობაში უფრო მეტი სასიკვდილო განაჩენი სრულდება, ვიდრე ერთად აღებული მთელ დანარჩენ მსოფლიოში. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის "ემნესტი ინტერნეშენალის" ბოლო მონაცემების მიხედვით, გასული წლის განმავლობაში ჩინეთში სიკვდილით 1718 ადამიანი დასაჯეს, ხოლო სასიკვდილო განაჩენი 7 ათასზე მეტ პატიმარს გამოუტანეს. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები ვარაუდობენ, რომ რეალური ციფრი ბევრად მაღალია.

სასიკვდილო განაჩენი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ძირითადად, კეფაში სროლით სრულდება. თუმცა ქვეყნის უზენაესმა სასამარ-

თლომ უკვე დაადგინა, რომ აუცილებელია ამ წესის ინექციის შეყვანით შეცვლა. 2007 წლიდან რეფორმა დაიქარდა, რადგან ყველა სასიკვდილო განაჩენის გადამონებმა უშუალოდ უზენაესმა სასამართლომ დაინიშნა და ადგილობრივმა სასამართლოებმა სასჯელად უმაღლესი ზომის გამოტანა სულ უფრო შეამცირეს.

რეფორმამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მოსახლეობაში. ჩინეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი მოშობდა, რომ ლეტალური ინექცია მხოლოდ კორუფციისთვის გასამართლებული მაღალჩინოსნებისთვის იქნებოდა განკუთვნილი, ხოლო რიგით ადამიანებს ისევ დახვრეტა ელოდათ.

სასიკვდილო ინექციის შეყვანა ორ ჩხვლეტას გულისხმობს. თავდაპირველად სიკვდილიმისჯილის სისხლში საანესთეზიო სითხეს უშვებენ, რომელიც მოქმედებას 10-20 წამში იწყებს. შემდეგ კი უკეთებენ მეორე ინექციას, რომელიც ადამიანს 1-2 წუთის შემდეგ კლავს.

სასიკვდილო ინექცია ამჟამად ფართოდ გამოიყენება ამერიკაში. მას აშშ-ს 37 შტატი იყენებს. თუმცა 2007 წელს ამერიკაში სასჯელის ამ ფორმაზე მორატორიუმი გამოცხადდა: ქვეყნის უზენაესი სასამართლო იმის დადგენას ცდილობდა, "სასიკვდილო კოქტეილი" ბრალდებულს ზედმეტ ტანჯვას ხომ არ აყენებდა. მორატორიუმი შვიდი თვის შემდეგ მოიხსნა.

რევიუ

Carnegie Hall-ის ახალი ფაქტორიტი

დუდი მაზმანიშვილი - ქართველი პიანისტი კონცერტულური აზროვნებით

მაზმანიშვილი



სტოპან აბოშაძის ფოტოგრაფია

"მიმანია, რომ დუდის აქვს სრულფასოვანი მუსიკალური აზროვნების ძალიან დასაფასებელი თვისებები... დუდი აზროვნებს კონცერტულურად, შეუძლია ფორმის დანახვა, დინამიკის გადანაწილება ისე, რომ ეს გამოხატავდეს რაღაც საერთო დიდ ფორმას... იგი გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით და მიეკუთვნება იმ ახალგაზრდა მუსიკოსთა რიცხვს, რომლებსაც შესწევთ უნარი ფართოდ გაუთქვანდნენ სახელი საქართველოს მუსიკალურ კულტურას..." - დანერა ჯანსუღი კახიძემ დუდი მაზმანიშვილზე იქამდე, სანამ პიანისტის საშემსრულებლო უნივერსალიზმს ევროპის მუსიკალურ ცენტრებში აღიარებდნენ... დიდი მასტრო, რომელიც ასეთ საქმეზე სიტყვებს იშვიათად, ან სულაც არ ამბობდა ხოლმე, არ შემცდარა. დუდის თითების ძალა და ინტელექტუალური ხელნერა ნიუ იორკის Merkin Hall-ში გამოსვლისას კრისტიკოსთა შორის ყველაზე "სამიმამა" კრისტიკოსმა ჰარის გოლდსმიტმა ასე შეაფასა: "მას აქვს აღმოსავლეთ ევროპის პიანისტებისთვის დამახასიათებელი ვირტუოზულობა და არტისტიკაში შეზავებული გერმანულ ინტელექტუალურ მანერასთან. ორკესტრთან ერთად ის ნამდვილი ჯადოქარია... მე მჯერა, რომ ეს არის ის შესრულება, რომელიც ლისტსა და ვაგნერს სურთ!" ამ რეცენზიამ დუდის მოუტანა Carnegie Hall-ის სოლო კონცერტი და... კიდევ სხვა მუსიკალური ბეგარუნდი.

"როილის ლედი", რომელიც ბავშვობიდან მეგობრობს მუსიკასთან, სხვანაირად გრძნობს მუსიკას, ბერლინში ცხოვრობს. ბერლინამდე იყო ნიუ იორკის ჰერტიკული რიტმი, უფრო მანამდე მიუნჰენი და მისი იშვიათი საშემსრულებლო ხელნერა... სანამ დუდის მიუნჰენში პირველად მოუტანდნენ, გერმანულ მუსიკოსებს გაუკვირდათ - "სოლისტი, რომელიც ბედავს რახმანინოვი დაუკრას?..." ეს ფაქტი უჩვეულოდ, უფრო არასერიოზულად ჩათვალეს, რადგან მამინ 14 წლის პიანისტი მისი ასაკისთვის შეუფერებელ ოპუსს შეეხო, აკადემიურად შეასრულა რახმანინოვის N3 საფორტეპიანო კონცერტი და მართა ნორდ-ვესტ-დოიჩე ფილარმონიის ორკესტრი. პრესაში დაინერა:

"სოლისტი, რომელიც ჩანდა მუსიკის სულს, დაატყვევა პუბლიკა თავისი მგრძობიარე, პოეტური ბგერებით. ის უკრავს დიდი ვირტუოზულობით და სითამამით."

მიუნხენის შემდეგ დუდი ასევე ხმაურიან კონცერტებს მართავს პარიზის La Salle Cortot -ში, ვენის Der Musikverein -ში, ნიუ იორკის Rockfeller Auditorium-ში... სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ხასიათი და სხვადასხვა მუსიკა აედევნება ხოლმე, ამით თითქოს თავისი პიროვნების ახალ გავრძელებებს ეცნობა. "მომავლის პიანისტის" რენომის ისიც ემატება, რომ დუდი მაზმანიშვილი გენიალური ელისო ვირსალაძის მოსწავლეა. ალბათ, ამბიციისთვის ესეც საკმარისია, არა? ამ იშვიათმა "ტიტულმა", რომელმაც ევროპის არაერთი პრესტიჟული საკონცერტო დარბაზი გაუხსნა, ვარსკვლავური "სტრესიც" მოუტანა... ყოველი კონცერტი მისთვის "მეცარი გამოცდაა", სადაც უბრალო შეცდომა თუ დაუშვავი, იცის, "არ აპატიებენ, გამოსწორების შანსი თითქმის არ ექნება", მაგრამ "შეცდომის შიში" დუდისთვის მუსიკაში ცხოვრების, ძლიერი აკორდების, ელევანტური ბგერებისა და მსუბუქი პასაჟების მიღმა რჩება, სამაგიეროდ იღებს "წარმატებების სარისკო გამონვევას"...

- მუსიკა მთელი თქვენი ცხოვრებაა, დუდი, როგორ აღწერდით მუსიკაში ყოფნას? კონცერტებზე ყველაფერი თავისით ხდება თუ...?

- არა, ყველაფერი თავისით არ მიდის, ხდება რაღაც აუხსნელი. მსმენელს მარტო მე არ ვაძლევ სიამოვნებას, ამ სიამოვნებას და კიდევ რაღაც იმპულსებს მათგანაც ვიღებ, ანუ მე ზუსტად ვგრძნობ რა ენერჯია მოდის დარბაზიდან. ეს რაღაც მედიტაცი-



ური კონცერტია. თუ ორკესტრია სცენაზე, ეს უფრო მახარებს, მერე ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ მუსიკოსებთან მეგობრული ურთიერთობები, რადგან რაც უფრო უშუალო გარემო იქნება, ენერჯია მემატება. "Carnegie Hall"-ს აქვს რაღაც სხვანაირი აურა, ასეთივე შეგრძობა იყო ჩემში, როცა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვუკრავდი. ამ დროს ბუნდოვნად გასხედება, რომ ამ კონცერტისთვის "იმეცადინე", თუმცა იქვე შესრულებაში თავისით მოდის ახალი მიგნებები, ის ინტერპრეტაცია, რასაც რეპეტიციის დროს შეიძლება ვერ ხვდებოდი და იმ მომენტში "გკარნახობს" მსმენელი...

- საინტერესოა, გავს თუ არა ევროპისა და აშშ-ს კონცერტები ერთმანეთს? როგორია კლასიკის თანამედროვე მსმენელი?

- განსხვავებული. რუსი მსმენელი ყოველთვის აკადემიურია, ჰოლანდიელები არიან ძალიან თბილები, გერმანელი რაციონალურია, თან მას სჭირდება სხვისი აზრი - ხედავს, სხვა ტაშს უკრავს, ესე იგი, ისიც აყვება. ჩვენთან არიან ძალიან ერუდირებული მსმენელები, ქართველებს კარგი "ყური" აქვთ. ამერიკელები უფრო ეფექტებზე, ვირტუოზულ ნაწარმოებებზე რეაგირებენ ხოლმე ძალიან ემოციურად, უყ-

ვართ ცეცხლოვანი ფინალები, მაგრამ რომ გითხრა, ამ "მოთხოვნებს" კონცერტებზე ვითვალისწინებ მეტი, არა, არა... მუსიკა უნდა იყოს მოულოდნელი და სპონტანური, მსმენელს ერთნაირი პატივით უნდა მოეკიდო იმიტომ, რომ შენ პირველ რიგში ვალდებული ხარ ვერ კომპოზიტორისა და მერე მსმენელის წინაშე. მე სულ ვცდილობ მუსიკის ტექსტის მიმართ "არანორმალურად" ერთგული დავრჩე. ეს არც თუ ისე ადვილია, ამას უფრო არქეოლოგიის სამუშაოს შევადარებ, - იქამდე უნდა "თხარო", სანამ არ აღმოაჩენ სიმართლეს.

- ანუ ბევრს მეცადინებთ?

- ბევრს არა, მაგრამ ბევრს ვფიქრობ. ალბათ, ფიქრიც მეცადინეობაა? საერთოდ, რეპერტუარის შერჩევამი მიყვარს თავისუფლება, მე ასე ვაძიებ ჩემს თავს სწრაფად ვისწავლო ახალი ნაწარმოები. არ შეიძლება ერთფეროვანი, ანუ ერთი და იგივე რეპერტუარით გამოხვიდე. მსმენელი ყოველთვის გაკვირვებული უნდა ტოვებდეს დარბაზს და ამ გაკვირვებას ახალი, უცნობი, ან ორიგინალური ვერსიით შესრულებული ოპუსები განაპირობებს. პიანისტი მაშინ ხდება საინტერესო, როცა უკრავ ყველაფერს, რაც იმ მომენტში იმ ენერ-

გიით და იმ ემოციით არის აქტუალური. იგლისში ვარშავის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ვუკრავ, ამიტომ ახლა ბეთჰოვენის N3 კონცერტი მაქვს სასწავლო, ძალიან ლამაზი კონცერტია, ეს მუსიკა უკვე არსებობს ჩემში, თუმცა მაინც უნდა ვიმეცადინო... მერე ნიუ იორკის ფესტივალი მაქვს, მერე ევროპაში ისევ კონცერტები...

- კონცერტებზე, სანამ პირველ აკორდებს აიღებთ, კონცერტაციისთვის გჭირდებათ რაღაც წამები?

- ეს წამები მეჩვენება ხოლმე საათებად, ყოველთვის მეუბნებოდნენ: შენ თავს მიეცი მეტი დრო რომ იფიქრო... და მე ვხვდები, ეს დრო არის წარმატების ნაწილიც. ჩემი პედაგოგი იყო დედაჩემი - თამარ აფაქიძე, კონცერტებზე არ შემოდიოდა - ძალიან ნერვიულობდა, იყო სულ კულისებში, მაგრამ ბოლოს მიუნჰენის ფილარმონიის კონცერტზე, რომელიც მიეძღვნა მოცარტის დაბადების დღეს - 27 იანვარს, მომიხმინა და მითხრა: სცენაზე შენ კიდევ სხვა ძალა გემატებაო. ელისო ვირსალაძე მეძახდა ხოლმე Presto Appassionato - ჩემი აფორიკებული ხასიათის გამო. იყო ელისო ვირსალაძის სტუდენტი ეს მსმენელისგან ყოველთვის იწვევს კიდევ უფრო დიდ მოთხოვნას, ყურადღებას, ეს ცალკე ვალდებულებაა. მისმა გაკვეთილებმა, მასტერ-

კლასებმა და საერთოდ მიუნჰენის იმ დრომ ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემს მომავალზე...

- საერთაშორისო კონკურსები - ეს მუსიკოსის შემჩნევის, აღიარებისა და კიდევ სხვა კონტაქტებზე გასვლის აუცილებელი გზაა? რას აძლევს პიანისტს კონკურსები, ეს ერთგვარი შეჯიბრია თუ...? ამ კონკურსებზე არის ბოლომდე ობიექტური ჟიური? როგორ უკრავენ პიანისტები კონცერტებსა და კონკურსებზე, არის ამ შესრულებაში სხვაობა?

- ამ კონკურსებზე, სადაც ხანდახან არაობიექტურია ჟიური, სავალდებულო არ არის მაინდამაინც გაიმარჯვო, რადგან არ არსებობს შემსრულებლის შეფასების ზუსტი "მეცნიერება". კონკურსზე დაკვრა, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, თუმცა ჩემთვის არსებობს პიანისტის ორი კატეგორია: არიან სცენის და კონკურსის პიანისტები. კონკურსების პირობებში შემსრულებელმა შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ კონცერტზე დაუკრას ძალიან უნეტერესოდ, უმინარსოდ... ამიტომაც ჩემთვის არასწორია იმის მტკიცება, ვინ არის პირველი, ვინ თუნდაც ბოლო. მე ხშირად ვყოფილვარ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, წა-

დაჰქონდა, სხვა ინსტრუმენტზე არ უკრავდა, რადგან ეს ფორტეპიანო იყო მისი "სულის მესაიდუმლე". სხვადასხვა პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში ეხებით თქვენთვის უცხო ინსტრუმენტებს, მაგრამ მაინც, რომელი ფორმის როიალზე ირჩევთ დაკვრას? - ინსტრუმენტსა და შემსრულებელს შორის ალბათ, აუცილებელია შედეგს განსაკუთრებული ერთიანობა?

- ინსტრუმენტთან შეჩვევა შემსრულებლისთვის ესეც დიდი პრობლემაა. ხშირად გეხდებოდა ხოლმე ისეთი როიალი, რომელსაც ალბათ ვერასდროს მოერგებო, ეს უფრო ბრძოლაა და არა სიამოვნება. ასეთ ინსტრუმენტზე დაკვრას მე უფრო რეალურ ცხოვრებას ვამსგავსებ, როცა ხვდები ისეთ ადამიანებს, ვისთან ურთიერთობაც არ გსიამოვნებს. მე ყველაზე მეტად მირჩენია Fazioli, Steinway - ხელით მზადდება და ამით არის განსხვავებული ინსტრუმენტი, Yamaha სტანდარტია, წინასწარ იცი, როგორ ბგერას მოგცემს, არადა ბგერა მთავარი, ეს ბგერა შენს ხელში უნდა იყოს მოქნილი, დარბაზში შეუდარებელი ტემპრით უღერდეს... შარშან Carnegie Hall-ს კონცერტის დროს დამახვედრეს ნიუ იორკის Steinway, წესით კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიუ იორკის Steinway ნამდვილად ჩამოუვარდება ჰამბურგის ვარიანტს, ამიტომ სასწრაფოდ ვთხოვე შეეცვალათ. ჩემთვის ეს გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თანაც მინდოდა მუსიკით მეც მე-სიამოვნა...

- ნიკა მეზმანიშვილი "ინტროვერსია" Carnegie Hall-ის სოლო კონცერტისთვის დაწერა და თქვენ მოგიძღვნათ. პირველად რომ მოისმინეთ, როგორ აღიქვით ეს მუსიკა თუნდაც, როგორ მიიღო მსმენელმა?

- პირველი სიხარული იყო როცა ნოტები გადავხალე, მაგრამ მერე ძალიან გაგზარაზდი, ეს რა დამინერა, სასწაულად ძნელი-მეთქი - კონცერტამდე სულ 5 დღე მქონდა დარჩენილი... ნიკამ "ინტროვერსია" ჩემი თხოვნით დაწერა, რადგან პრესა აქცენტს აკეთებს ხოლმე სოლო რეპერტუარში თანამედროვე ნაწარმოებზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, თან მე ძალიან მინდოდა, რომ ეს ყოფილიყო ქართული მუსიკა. თავიდან ეს იყო საფორტეპიანო პიესა, ანუ მხოლოდ პირველი ნაწილი - "ინტროვერსია", და ასეთი ფორმით შევასრულე Carnegie Hall-ში, მაგრამ ამის შემდეგ ბერლინისთვის ნიკამ გააკეთა სხვა რედაქცია კამერული ორკესტრისა და ფორტეპიანოსათვის - მიუმატა კიდევ ორი ნაწილი "ექსტრავერსია" და კოდა. ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო ნაწარმოები გამოვიდა განსხვავებული უღერადობით. Carnegie Hall არის დღევანდელი კოლიზეუმი, თუკი ვინმე ცდილობს თავისი სიტყვა თქვას მუსიკაში, ეს არის ვერსიისთვის სასურველი, ყველასთვის პრესტიჟული არენა. "ინტროვერსიას" როცა ვუკრავდი, მასსოვს, კარგად მისმენდნენ, როგორ გითხრა, რაღაც განსხვავებული წარმატება ჰქონდა.

- დაზღვეულია თქვენი თითები?

- ჯერ არა...

- პიანისტებს არ უყვართ ხოლმე "ბისზე" დაკვრა, რატომ?

- გააჩნია როგორ ხასიათზე ვარ. საერთოდ მიყვარს სპონტანურობა, მაგრამ "ბისზე" არასდროს მაქვს მომზადებული ნაწარმოები. შარშან გერმანიაში ისეთი უხერხული სიტუაცია შეიქმნა... კონცერტის მერე "ბისს", "ბისს" არ ჩერდებოდნენ, უნდა დამეკრა. როიალთან დავჯექი, რაღაც დიდი პაუზა გამოვიდა, ვერ ვადავანყვიტე რა უნდა დამეკრა, მერე მოგტრიალდი დარბაზისკენ - არ გეგონოთ, დამავინყდა როგორ იწყება ნაწარმოები, უბრალოდ, მე არ ვიცი, რა დავაკრათ მეთქი. და უცბათ ატყდა სიცილი.

- თბილისში როდის დაუკრავთ?

- დეკემბერში, სამობაო ფესტივალზე.

- ცნობილია, რომ საკონცერტო ტურნეებში ლისტს საკუთარი როიალი

კინოპერსპექტივები და ქართული კინო მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ნა ვაკაძე

რა შეიძლება საქართველომ საერთაშორისო ბაზარზე გაყიდოს? პირველი რაც ამ კითხვებზე გახსენდება, "ბორჯომი", ლენინი და ბუნებაა. ეს უკანასკნელი კი თურმე არა მხოლოდ ტურისტული ბიზნესის განვითარებითვისაა გამოსაყენებელი, არამედ შესაძლოა უცხოური კინოს ფონადაც იქცეს. სწორედ ამ და სხვა კინემატოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობისთვის შეიქმნა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრებიც თვეში ერთხელ შეიკრიბებიან, ოცდაათდღიან შუალედში წარმოქმნილ პრობლემებსაც განიხილვენ და მიღწეულ სიახლეებსაც გაუზიარებენ ერთმანეთსაც და მინისტრსაც.

პირველი, რასაც მინისტრი ნიკოლოზ რურუა საბჭოს წევრებისგან ელის, ორნლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაა, რომელიც ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობისა და ქვეყნის შესაძლებლობების ფარგლებში საკითხის მაქსიმალურად მოგვარების საშუალებას მისცემს. საბჭოს წევრები კი (ძირითადად ცხადია პროდიუსერები) მინისტრისგან და შესაბამისად სახელმწიფოსგან საგადასახადო სისტემის შემსუბუქებას ელიან. "გადასახადები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთა შემცირების, შემსუბუქების გარეშე კინონარმოების განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ გადასახადები გაცილებით მცირე იქნება, ეს მოგვცემს საშუალებას წლის განმავლობაში მეტი და უფრო კარგი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვათ. საბედნიეროდ, სახელმწიფოსგან ეს გარანტიები უკვე მივიღეთ და ვფიქრობ მალე პრაქტიკულ შედეგსაც დავინახავთ", - ამბობს კინოსტუდია "სანგუკოს" ხელმძღვანელი, პროდიუსერი გუკა რჩეულიშვილი.

მინისტრი რურუა საქართველოს საერთაშორისო კინოკავშირის წევრად გახდომის გარდა კიდევ ერთ დაპირებას იძლევა - საქართველოში უცხოელი კინემატოგრაფისტების მოზიდვის გარანტიას: "არ მინდა, მოვლენებს



გაფუსნრო, თუმცა უკვე შემოძლია ვთქვა, რომ არსებობს უცხოელი კინემატოგრაფისტების საქართველოში მუშაობის რამდენიმე პროექტი".

უცხოელი კინომწარმოებლების საქართველოში სამუშაოდ მოზიდვა ძალიან მომგებიანი პროექტია. მაგალითად, მსგავს მეთოდს საკმაოდ ხშირად იყენებს ჰოლივუდი, როდესაც ამერიკის ტერიტორიაზე ვერ ახერხებს შესაბამისი ნატურის მოძებნას, ხოლო დეკორაციების ან კომპიუტერული გრაფიკის შექმნა უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე საქართველოს მსგავს ქვეყანაში ნატურაზე გადაღება. ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითს მოგიყვანათ: როდესაც პიტერ ჯეკსონი "ბეჭდების მბრძანებელს" იღებდა, მთელი გადაღები ჯგუფი - მსახიობები, ტექნიკური პერსონალი და სხვა - რაც ასობით ადამიანს შეადგენს (იხილეთ თუნდაც ფილმის ტიტრები) მთელი სამი წლის განმავლობაში ახალ ზელანდიაში ცხოვრობდა და მუშაობდა, რაც ქვეყნის ბიუჯეტში ჩარიცხულ მილიონებს ნიშნავდა. გარდა იმისა, რომ ამ კუნძულს ფილმისთვის საჭირო ლანდშაფტი გააჩნდა, როგორც გითხარით იქ გადაღება გაცილებით იაფი დაჯდა თუნდაც ადგილობრივი მუშახელის მხრივ, რომელიც საათში უფრო ნაკლებს ითხოვს, ვიდრე ამერიკელი.

კიდევ ერთი დეტალი, რის გამოც ჩვენს ქვეყანა უცხოელი კინემატოგრაფისტებისთვის შესაძლოა საინტერესო გახდეს

შარშან კულტურის სამინისტრომ საკმაოდ დიდი კაპიტალდაზანდება გააკეთა, როდესაც კინოსტუდია "ქართული ფილმისთვის" რამდენიმე სახეობის აპარატურა შეიძინა (ფირის გასამყვლავნებელი, სამონტაჟო, გასახმოვანებელი, ციფრული ასლის დამამზადებელი და სხვა). ანუ უცხოელ რეჟისორს საშუალება ექნება, აქ გადაღებული მასალა ადგილზევე შეამონოს და საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვრე გადაღებებიც დანიშნოს.

სხვათა შორის, მსგავსი თანამშრომლობის მოტივით თბილისში შარშან მასში საკმაოდ ცნობილი ინდოელი კინოპროდიუსერი რავი გუპტაც იმყოფებოდა. იგი კომპანია "გუპტა არტისის" მფლობელია და დანარჩენი ინდოელი კინომწარმოებლების მსგავსად წელწინადაც ათასამდე ფილმის გამოშვებას ახერხებს. მან მაშინ აღნიშნა, რომ ძირითადად საზღვარგარეთ ამჯობინებს მუშაობას, ამჯერად კი საქართველოში დაინტერესდა. მაშინ რავი გუპტა სილნალსაც ეწვია და იმდენად მოიხიბლა მოკინწულული ქუჩებითა და კახელინის სტუმარ-მასპინძლობით, პირველი კინოპროექტის განხორციელება სწორედ ამ ქალაქში განიზრახა და ფილმისთვის სახელწოდებაც ექსპრომტად მოიფიქრა "სიყვარული სილნალში". ინდოელმა კინოპროდიუსერმა საკუთარ თითებზე კიდევ ექვსი პროექტი ჩამოგვითვალა და მომავალში შეხვედრის სურვილითაც დაგვემშვიდობა, თუმ-

ცა მის შესახებ ამის შემდეგ აღარ გვსმენია.

კიდევ ერთი ინფორმაცია ქართული კინოს შესახებ, რომლის თაობაზეც "24 საათი" ორიოდ კვირის წინაც წერდა, თუმცა ამჯერად უფრო დეტალურად: 19-დან 28 ივნისის ჩათვლით მოსკოვში საერთაშორისო კინოფესტივალის დაგეგმილი, რომლის საკონკურსო და სპეციალურ ჩვენებებშიც რამდენიმე ქართული ფილმი წარმოდგენილი. მთავარ საკონკურსო პროგრამაში კინოსტუდია "სანგუკოს" პროდუქცია, დიტო ცინცაძის მიერ შარშან გადაღებული "მედიატორი" მონაწილეობს. კონკურს "პერსპექტივაში" წარმოდგენილია ვანო ბურდულის "კონფლიქტის ზონა" (ქართულ გაქირავებაში "გასიერება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა"), ხოლო არასაკონკურსო ჩვენება "ეიფორიაში" ჩართულია გიორგი ოვაშვილის "გალმა ნაპირი". როგორც ცნობილია, ბურდულისა და ოვაშვილის ნამუშევრები აფხაზეთის ომის თემას ეხება და აქედან გამომდინარე, რუსი აუდიტორიისთვის ალბათ ნაკლებად სასიამოვნო შინაარსსაც შეიცავს. "სიმართლე გითხრათ, ჩვენც ვერ გავრკვევულვართ, რატომ მოსურვეს ასეთი თემატიკის ფილმების საფესტივალო ჩვენებაში ჩართვა ახსნას ვერ ვპოულობთ. თუმცა ფესტივალის პროგრამას თავად ადგენენ, ჩვენ კი თანამედროვე ქართული კინოს ასეთ მნიშვნელოვან ფესტივალზე გატანის საშუალებას კარგად გამოვიყენებთ", - აღნიშნა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა კოტე ჩლაიძემ.

ახალი ნამუშევრების გარდა მოსკოვის კინოფესტივალზე ქართული კინო კლასიკური ნაწარმოებებითაც წარსდგება. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ქართული კინოს რეტროსპექტივა "ფიცადან" "მონანიებამდე". მიხეილ ქიაურელისა და თენგიზ აბულაძის გარდა წარმოდგენილი იქნება რეზო ჩხეიძის, ელდარ შენგელაიას, გელა კანდელაკის, ალექსანდრე რევაშვილის, რეზო ესაძის, ლანა ლოლობერიძისა და სხვათა ნამუშევრები.

ქართველი ბავშვები მომავლის ქალაქს ხატავენ

ბრიტანეთის საბჭოს მორიგი პროექტის პრეზენტაციაზე

ური მეთოდების გამოყენებასა და სწავლებაში ისეთი თემების ჩართვაზე როგორცაა არტიტექტურა, ურბანული დაგეგმვა, პეიზაჟის არტიტექტურა, ხელოვნება და დიზაინი.

პროექტის ფარგლებში თბილისის 21-ე საჯარო სკოლის 4 კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ თბილისის რუკა. მოსწავლეებს სრულიად მოუშადადებლად მიეცათ დაავლება 1 გაკვეთილის განმავლობაში დაეხატათ როგორც ქალაქში სურათი ცხოვრება ანუ როგორია მათი მომავლის ქალაქი. შედეგებმა გაჩვენეს, რომ საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური მდგომარეობა სერიოზულად აისახება ბავშ-

ვების აზროვნებაზე, რადგან მრავალი ნამუშევარი ორიენტირებული იყო თავდაცვასა და მშვიდობაზე.

პროექტში ერთდროულად 7 ქვეყნის: ბულგარეთის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, ალბანეთის, საბერძნეთის, რუმინეთისა და თურქეთის 208 მოსწავლე იყო ჩართული.

პროექტის ავტორი და კოორდინატორია ბულგარელი პროფესორი ვასელინა ტროევა. პროექტის ქართველი პარტნიორია ასოციაცია "არტ კავკასია" - ნანა ყორმელაშვილი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ასოციაცია არტ კავკასია - 2002 წლიდან მუშაობს კულტურის

და განათლების სფეროში. ასოციაცია ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონის თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას, პოპულარიზაციას და საერთაშორისო არენაზე ინტეგრაციას, სახელოვნებო დარგის პროფესიული დონის ამაღლებას, არტ ბიზნესის სფეროში სტრუქტურული ცვლილებების შეტანას. არტ კავკასია აწყობს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სფეროში სხვადასხვა მასშტაბის ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო გამოვენებს, ფესტივალებს, კონფერენციებს, ფორუმებს, სემინარებს, დისკუსიებს.



ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებულები

1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გივი სულაკაური, **თამაში რევოლუციით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქევაძე, **დაუმთავრებელი ამბავი** (დოიგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებულები

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **ნიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დოიგენე)
7. ნიკა ჯორჯანიძე, **სუნთქვა ხუთისას** (დოიგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბულაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოღენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩხილაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრევიეტის მთვარე** (პეგასი)

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბულაძე, **ნაფტალინი** (ნიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", №5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთისებო კაცი"** (დოიგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის **"ძალი, ძალი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედეგები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"იხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურლაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გაუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დოიგენე)
11. ირაკლი ჯავახიძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დოიგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კვიციანიძე, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჯინიძე, **მუშაბედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კაველი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდეტი** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ლობე** (საარი)

ზაფხულის მუსიკალური დღეები იწყება

საქართველოში ჯაზის ფრანგი შემსრულებლები ჩამოვლენ

თამარ კიკნაველიძე

გუშინ ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში ორგანიზებული პრესკონფერენცია მიეძღვნა ფესტივალს "ზაფხულის მუსიკალური დღეები", რომელიც თბილისში 18-21 ივნისს გაიმართება და ჯაზის შემსრულებლებს უმასპინძლებს.

"ეს არის მუსიკის დღესასწაული, რომელსაც საფრანგეთის საელჩო საქართველოში და ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი აქ უკვე მეათე წელი აღნიშნავენ", - გვითხრა ჟოელ ბასტენერმა (ამ ცენტრის ხელმძღვანელი და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი კულტურის საკითხებში). პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, რომ მუსიკის დღესასწაულის ორგანიზების ტრადიცია საქართველოში არ ჩამოყალიბებულა და საფრანგეთში მას 1982 წლიდან აღნიშნავენ. ის ფართო მასშტაბზე გათვლილი და მიზნად ისახავს "მუსიკის ცოცხალი შესრულების პრაქტიკის პოპულარიზაციას, საზოგადოების ყველა ფენის ახალგაზრდა თუ ასაკოვანი მსმენელის დაახლოვებას მუსიკის გამოხატვის რაც შეიძლება მრავალფეროვან ფორმებში".

ფრანგების მიერ თბილისში ორგანიზებული ფესტივალის

ისტორიას თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ ის შემსრულებელთა და მუსიკალურ ჟანრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აქ მათ წარმოადგინეს, როგორც კლასიკური და ელექტრონული მუსიკა, ასევე, ვარიეტე. წლებმანდელო ფესტივალის უფრო მასშტაბური იქნება და მას ოთხი დღე დაეთმობა. ამ დროის განმავლობაში ერთმანეთს შეხვდებიან პროფესიონალი თუ მოყვარული ქართველი და ფრანგი მუსიკოსები, კონცერტები კი გაიმართება კლუბში ლია ცის ქვეშ - "33ა", თბილისის კონსერვატორიასა და ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში. უფრო კონკრეტულად კი, "ზაფხულის მუსიკალური დღეების" პროგრამა ასეთია: 18 ივნისი, 19:00 სთ., თბილისის კონსერვატორიის დარბაზი - ჯაზური ლორან დე ვილი (ლორან დე ვილი - ელექტრ. ფორტეპიანო, ჟულიენ შარლე - დასარტყამები და ბრუნო რუსლე - ბასი); 19 ივნისი, 20:00 სთ., კლუბი "33ა" - ნინო ქათამაძის კონცერტი; 20 ივნისი, 19:00 სთ., ეროვნული მუსიკალური ცენტრი - ერიკ ლენინისა და სტეფან ბელმონდოს ჯაზდუეტი (ერიკ ლენინი - ფორტეპიანო, სტეფან ბელმონდი - საყვირი); 21 ივნისი, 18 საათიდან, კლუბი "33ა" - მუსიკის დღესასწაული - თავისუფალი სცენა ეთმობათ მოყვარულ

ლებსა და პროფესონალებს.


ამ პრესკონფერენციას ჟოელ ბასტენერი თავად უძღვეოდა. საუბარი მან ფესტივალის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემებით დაიწყო: - "მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისის მიზეზით, წლებმანდელო მუსიკის ფესტივალს სპონსორები არ გამოუჩნდა. მისი საინფორმაციო მხარდაჭერები არიან რადიოები - "უცნობი" და "სინდიკატი". ამას სინანულით აღვნიშნავ. თუმცა, ის, რასაც ორ დღეში ქართველებს შევთავაზებთ, მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ამ მუსიკოსებით ფრანგები ვამაყობთ. ჯაზი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ყველაზე საყვარელი მუსიკაა და თუ ნაკლებად კრიტიკულნი ვიქნებით, აღმოვაჩინებთ, რომ მათ შორის საქართველოც შედის, რადგანაც აქ ეს ჟანრი ძალიან უყვართ. ამერიკის შემდეგ ის ყველაზე მეტად პოპულარულია საფრანგეთში, სადაც 1950-იან წლებში ბევრი ამერიკელი ჯაზის შემსრულებელი ჩავიდა და დაემკვიდრა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამერიკელი მუსიკოსები რასიზმის წინააღმდეგ არსებულ პროტესტს სწორედ საფრანგეთში გამოხატავდნენ. ფრანგული მელოდიები ამერიკულმა ჯაზმენტებმა ფართოდ გამოიყენეს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჯაზი დაიბადა ნიუ ორ-

ლეანში, სადაც მოსახლეობის 35 პროცენტი ფრანგია. საფრანგეთის შემდეგ, ამ ჟანრის მოყვარულია იტალია, პოლონეთი, გერმანია... მაგრამ ინგლისში, სადაც ძალიან ბევრი მუსიკოსი მოღვაწეობს, ჯაზი ნაკლებად განვითარებული და პოპულარულია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ქართველებს ისეთი ინიციატივები შევთავაზოთ, რომლებიც მათთვის მისაღები და საინტერესო იქნება. აქ ძალიან მოსწონთ იტალიური და ესპანური მუსიკა, მათი შესრულებაც კი ქართველებს გაცილებით უადვილებდათ და ესერებოთ, ვიდრე ფრანგულს, რადგანაც ფრანგული მუსიკა უფრო ცივი და სპეციფიკურია, მას მსოფლიოში ყველაზე უკეთ გერმანელები და პოლანდელები ასრულებენ. თავდაპირველად გვინდოდა, რომ წლებმანდელო ფესტივალი როკ მუსიკას დათმობოდა, მაგრამ მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება შეცვალეთ და არჩევანი ჯაზზე გავაკეთეთ. ვფიქრობ, ამ ფესტივალით ქართველი მსმენელი ისიამოვნებს და ზაფხულის მუსიკალური დღეებიც კარგად ჩაივლის".

უფრო დანვირდებით იმ შემსრულებლების შესახებ, რომლებიც ამ ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას, გაზეთ "24 საათის" მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

გია ყანჩელის საავტორო კონცერტი

ეროვნული მუსიკალური ცენტრი ნიკა მემანიშვილის ხელმძღვანელობით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, პარასკევს გია ყანჩელის საავტორო კონცერტს გვთავაზობს. საქართველოში პირველად შესრულდება ყანჩელის თხზულება "ივანანა მზეს" - შერეული გუნდისათვის დასარტყამ საკრავთა თანხლებით, ასევე მუსიკოსის ცნობილი ნაწარმოები "ვალს-ბოსტონი" და ბოლოს "სტიქსი", რომელსაც თბილისელი მსმენელი კარგად იცნობს, რუსთაველის თეატრის წარმოდგენის წყალობით. სოლისტი იქნება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ალტისტად აღიარებული მაცხიმ რიზანოვი.



საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი და მათი წარმომადგენელი

გია ყანჩელი

საავტორო კონცერტი

ფესტივალის:

ივანანა მზეს, ვალს ბოსტონი, სტიქსი

სოლისტი

მაცხიმ რიზანოვი

ლონდონი

დირიჟორი

ნიკა მემანიშვილი

საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და საბუნდო კაპელა

საათი 19.30

ბანცხალება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმიში ქვეთარბის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობისა მდინარე ყორალისწყლის მონაკვეთის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების საგადასახადო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში

3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და გადახდის დამადასტურებელი კვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 17 ივნისის 12:00 საათიდან 2009 წლის 7 ივლისის 18:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
- ს/კ 245576826
- მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125
- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ქ. ბათუმიში ქვეთარბის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობისა მდინარე ყორალისწყლის მონაკვეთის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები

5. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდულ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 ივლისის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირებისათვის:
- ა) ამინაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და დიკვილიაცია;
 - დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

- 6.2. ფიზიკური პირებისათვის:
- ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, უკანასკნელი 4 (ოთხი) წლის (ცალ-ცალკე 2006, 2007 2008 და 2009 წლის მთლიან წლებში) წლების განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათისა და ხირთულის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 400.0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოების დირებულება უნდა შეადგენდეს 50.0 ათას ლარს.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება	შენიშვნა: საგადასახადო ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა და წერილობითი დამადასტურება იმ ორგანიზაციის მიერ ფაქტიური ღირებულების მითითებით
1					
2					
და ა.შ					

- შენიშვნა:
- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მერ პუნქტის შესაბამისად;
 - პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარულად დამოწმებული ასლები;
 - განცხადების მერ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაეცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მერ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერწყმის დროს შეიძლება დასუსტდეს არ ექვემდებარება.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეეძლება მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისაგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

სატენდერო კომისია

საქმე № 2/2631-08

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელმწიფო
საჯარო შეტყობინების შესახებ

04 მაისი 2009 წელი, თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ელისო ტუკვაძე



მოსარჩელე:
წარმომადგენელი
მოპასუხე:
დავის საგანი:

სს ბანკი „რესპუბლიკა“
სს „ჰელიქ და პარტნიორები“
ეკატერინე მამუკელაშვილი
საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, დავალიანების დაკისრება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2008 წლის 11 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს წარმომადგენელმა მოპასუხე ეკატერინე მამუკელაშვილის მიმართ. სარჩელით მოითხოვა ბანკსა და ეკატერინე მამუკელაშვილს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და დავალიანების დაკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით:

2007 წლის 2 ნოემბერს სს ბანკი „რესპუბლიკა“-სა და ეკატერინე მამუკელაშვილს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება ესპრესო სესხისათვის №00040738 და ეკატერინე მამუკელაშვილზე გაიცა კრედიტი 3500 ლარის ოდენობით, 12 თვის ვადით – 2008 წლის 2 ნოემბრამდე. კრედიტით სარგებლობისათვის მსესხებელი ვალდებული იყო ბანკისათვის გადაეხადა საპროცენტო სარგებელი წლიურ 26%-ის ოდენობით.

